კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№32 (1622) 17 — 23 აგვისტო ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ირაკლი ღარიბაბაშვილი: საწვავი 20-30 თეთრით გაიაფდება

ივლისსა და აგვისტოში ნავთობპროდუქტების იმპორტი გაიზარდა

დიდი „რუსულმანური“ შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

საიდუმლო თათბირი შევარდნაძესთან და შინაგანი ჯარის გენერლის გამოუქვეყნებელი მემუარები

ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმი საკუთარ აგარაკზე ბარით მოკლეს

რა აღიარებითი ჩვენება მისცა მედდამ და რატომ გაიმეტა უფროსი სასიკვდილოდ

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

აკია ბარბაქაძე: „რუსეთი დაშლის საფრთხის წინაშეა!“



„თუ უკრაინის გენშტაბს ექნება ნება, მას რუსეთის საზღვარი ვერ დააკავებს“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოსა და დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2005 წელს დაბადებული ნ.ხ. – ოჯახის წევრის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ხოლო 2003 წელს დაბადებული რ.ნ. – ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის დააკავეს.

დანაშაულები 16-დან 20 წლამდე ან თავისუფლების უვადო აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 13 აგვისტოს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, დედას – 1988 წელს დაბადებულ ჟ.ხ.-ს დანით სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ დანაშაულის ჩადენაში ნ.ხ.-ს თავისი მეგობარი რ.ნ. ეხმარებოდა.

მიყენებული დაზიანებების შედეგად, ჟ.ხ. ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ნ.ხ. და რ.ნ. მომხდარიდან მალევე, ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა-109-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტითა და 109-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობასა და ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

პოლიციამ აჭარაში მომხდარ მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ.ი. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 13 აგვისტოს, ქობულეთში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით ჭრილობა მიაყენა 2001 წელს დაბადებულ რ.ლ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მოგვიანებით, დაჭრილი ახალგაზრდა სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ლ.ი. ცხელ კვალზე – მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის თბილისში ერთი პირი დააკავა – ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული უკრაინის მოქალაქე ი.ბ. თბილისში დააკავეს. მას ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და უკანონო გასაღების მცდელობაში, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვაში ედება.

დანაშაული 14-დან 20 წლამდე ან თავისუფლების უვადო აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად გამოავლინეს ერთ-ერთ ინტერნეტაპლიკაციაში მოქმედ ნარკორეალიზატორთა ორგანიზებული ჯგუფი და აღნიშნული ჯგუფის კურიერი – საქართველოში დროებით მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე ი.ბ.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, სარეალიზაციოდ გამზადებული, 14 შეკვრად დაფასოებული სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები ამოიღეს, მათ შორის, „კოკაინი“ და ფსიქოტროპული ნივთიერება „კეტამინი“. საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში, დაკავებულის მიერ მითითებული ლოკაციიდან, ასევე, ამოღებულია შემდგომი რეალიზაციის მიზნით განთავსებული 1 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“.

პოლიციამ, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო: 385 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კოკაინის“ შემცველი ფხვნილი, 443 გრამი ფსიქოტროპული ნივთიერება „კეტამინის“ შემცველი ფხვნილი, 3 კილო და 152 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მდმა“-ს და ნარკოტიკული საშუალება „4-CMC“-ს შემცველი ფხვნილი, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „მდმა“-ს შემცველი აბები – ე.წ. ექსტაზი, საერთო წონით – 876 გრამი. აგრეთვე, ამოღებულია ელექტროსასწორი და ნარკოტიკული საშუალების დაფასოებისთვის საჭირო მასალები.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების მცდელობის, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 19-260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 261-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

კახეთის პოლიციამ გურჯაანის მუნიციპალიტეტში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1969 წელს დაბადებული მ.ჩ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, თანასოფლელ მამაკაცს – 1975 წელს დაბადებულ ლ.ი.-ს ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ გურიაში ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობისთვის ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ი.ტ. ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან თავისუფლების უვადო აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ოზურგეთში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ყოფილ მეუღლეს – 1984 წელს დაბადებულ შ.ზ.-ს, ბასრი საგნის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა, რის შედეგადაც ქალი ადგილზე გარდაიცვალა.

პოლიციამ ი.ტ. ბრალდებულის სახით, ცხელ კვალზე დააკავა. დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად არის ამოღებული.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

აკია ბარბაქაძე: „რუსეთი დაშლის საფრთხის წინაშეა!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34



9 აგვისტოს, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა რუსეთის მიერ ანექსირებული ყირიმის ნახევარკუნძულზე მდებარე სამხედრო აეროდრომი დაბომბა. აღნიშნული ავიაიერიშის შემდეგ, ყირიმში, ტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში პანიკა დაიწყო. გავრცელდა კადრები, სადაც ჩანს, რომ რუსულენოვანი ადამიანები საზღვაო კურორტს პანიკურად ტოვებენ. ყირიმზე იერიშს უკრაინის პრეზიდენტი, ვოლოდიმირ ზელენსკი ასე გამოეხმაურა:

„დღეს დიდი ყურადღება ეთმობა ყირიმის თემატიკას და ეს სწორია, რადგან ყირიმი უკრაინაა და ჩვენ არასდროს ვიტყვით მასზე უარს. არ დავივიწყებთ, რომ სწორედ ყირიმის ოკუპაციით დაიწყო უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომი და უნდა დასრულდეს ყირიმის გათავისუფლებით. დღეს შეუძლებელია იმის თქმა, როდის მოხდება ეს, მაგრამ ჩვენ ყოველდღიურად ვამატებთ ყირიმის გათავისუფლების ფორმულას სიახლეებს. ვიცი, რომ ჩვენ დავბრუნდებით უკრაინულ ყირიმში. რუსეთმა ყირიმი, რომელიც ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად ითვლებოდა, ერთ-ერთ ყველაზე საშიშ რეგიონად გადააქცია. რუსეთმა ყირიმში მოიტანა მასშტაბური რეპრესიები, ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები, ომი“.

რა როლს შეასრულებს ყირიმში განვითარებული მოვლენები რუსეთ-უკრიანის ომში? – „ვერსია“ სამხედრო ექსპერტ აკია ბარბაქაძეს ესაუბრა:

– ზელენსკი ყოველთვის ამბობდა, რომ უკრაინელები ერთ გოჯ მიწას არ დაუთმობენ რუსეთს. უკრაინა იბრძოლებს ბოლომდე, მისი მიწა-წყლის უკანასკნელი სანტიმეტრის გასათავისუფლებლად. ამ განცხადებებში, რა თქმა უნდა, იგულისხმებოდა ყირიმის ნახევარკუნძული. ყირიმის აეროდრომის დაბომბვა შეიძლება, შევადაროთ, მაგალითად, რუსეთის სიამაყე ფლაგმანის, შავი ზღვის პირველი სამხედრო ხომალდის – „კრეისერი მოსკოვი“ დაძირვას, რომელიც წარმოადგენდა „ქოლგას“ შავი ზღვის ფლოტისთვის. ის ითვლებოდა ჩაუძირავ ავიამზიდად, რომელიც იყო რუსეთის საოკუპაციო ძალების პლაცდარმი უკრაინის ტერიტორიაზე და აღიარებული რუსეთის მიერ, თავის ტერიტორიად.

ამ ომის განმავლობაში, პირველად მოხდა, რომ უკრაინამ დაბომბა ტერიტორია, რომელიც რუსეთმა თავის ტერიტორიად აღიარა. დიახ, დაბომბეს, ზუსტი სარაკეტო დარტყმები განახორციელეს, „ქირურგიული ოპერაცია“ ჩაატარეს უკრაინელებმა და გაანადგურეს რუსეთის წინწაწეული ავიაბაზა, საიდანაც საავიაციო გაფრენებს ახდენდა რუსეთის ავიაცია და ბომბავდა უკრაინის მშვიდობიან ქალაქებს. ამით უკრაინელებმა დაანახეს, რომ უკრაინის ტერიტორიაზე არ არსებობს ადგილი, სადაც შეიძლება, რუსეთის საოკუპაციო ძალებმა მშვიდად იგრძნონ თავი. მეტსაც გეტყვით, ომის ბუნება ისეთია, რომ ხშირად, აგრესორის ტერიტორიაზე გადადის ხოლმე ანუ ეს არის განაცხადი, რომ თუ უკრაინის გენერალურ შტაბს ექნება ნება, მას ვერ დააკავებს ვერც რუსეთის საზღვარი, რადგან ისეთივე წარმატებით შეუძლია ჩაატაროს „ქირურგიული დარტყმები“ რუსეთის ტერიტორიაზე.

ამ ყველაფერთან ერთად, ხაზგასასმელია, რომ ვხედავთ განსხვავებას უკრაინისა და რუსეთის გენერალურ შტაბებს შორის. რა, არ შეეძლო უკრაინის გენშტაბს, რომ იგივე დარტყმები ყირიმის ნახევარკუნძულზე, მოსახლეობისა და ტურისტების წინააღმდეგ განეხორციელებინა? – მაგრამ არ იკადრა. ეს არის განსხვავება ნატო-ს ტიპის, დასავლურ ღირებულებებზე მდგომ არმიასა და იმ არმიის პოზიციას შორის, რომელიც უკრაინაში, ბავშვებსა და ქალებს ხოცავს.

უკრიანის მიერ ყირმის დაბომბვა არის განაცხადი, რომ უკრაინამ დეკლარირებულად აჩვენა რუსეთის შეიარაღებული ძალების უსუსურობა, რომ რუსეთის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა უსუსურია დასავლური წარმოების ზალპური ცეცხლისა და საარტილერიო სისტემების წინააღმდეგ. ეს ნიშნავს, რომ უკრაინას შეუძლია, გაანადგუროს რუსეთის აეროდრომები, ბაზები, ჯარების თავშეყრის ადგილები, მართვის პუნქტები და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები. ეს ნიშნავს, რომ უკრაინას აქვს სტრატეგიული უპირატესობა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე და როდესაც რაოდენობრივად გაეზრდება ზალპური ცეცხლის საარტილერიო დანადგარები, შეეძლება, გაანადგუროს რუსეთის შეიარაღებული ძალები. ეს არის ფაქტი და მოცემულობა, რომელიც დაინახა მთელმა მსოფლიომ, რასაც უნდა შეეგუონ არა მარტო რუსეთი, არამედ, რუსეთუმე, ენისმოჩლექვით მოლაპარაკე, მოღალატე ადამიანები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ბლომად არიან. მათ უნდა დაინახონ, რომ რუსეთი დამარცხებულია! ერთადერთი, რითაც რუსეთი იმუქრება, არის ატომურ-ბირთვული იარაღი, რომლის გამოყენებაც ასე მარტივი არაა. თქმა იოლია, მაგრამ ეს გამოიწვევს რუსეთის საბოლოო განადგურებას, რადგან მთელი ცივილიზებული მსოფლიოს ბიოლოგიური ბირთვული პოტენციალი იქნება მიმართული ღიად რუსეთის წინააღმდეგ და მანდ დამთავრდება რუსეთი, როგორც სახელმწიფო და კიდევ ბევრი რამ...

– ბატონო აკია, წელან თქვით, რომ რუსეთისგან განსხვავებით, უკრაინამ დაბომბა სამხედრო სტრატეგიული ობიექტი ყირიმში და არა – სამშვიდობო მოქალაქეები, თუმცა როგორც გავრცელებული კადრებით შევიტყვეთ, ყირიმში მოსახლეობასა და ტურისტებში დიდი პანიკაა. როგორ ფიქრობთ, უკრაინის მიერ, ყირიმზე იერიშის მიტანა ფსიქოლოგიურადაც გატეხს რუსეთის მხარეს?

– არა მარტო იქაური მოსახლეობა, არამედ, უკრაინის საზღვრებიდან 300 კილომეტრში მყოფი ყველა რუსული ქალაქი შიშქვეშაა. ნუ დაგვავიწყდება, რომ უკრაინა საკმაოდ ძლიერი სამხედრო წარმოების პოტენციალის მქონე ქვეყანაა და თუ მოინდომებს და გარკვეულ თანხასაც ჩადებს, შეუძლია, საკმაოდ გაზარდოს საკუთარი რაკეტების წარმოება. ეს დროის საკითხია, უცებ არ მოხდება, მაგრამ თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს ომი გაგრძელდება 2-3 წელი, ვიცოდეთ, რომ იმ დროისთვის, უკრაინას საკუთარი შეიარაღება ექნება და ვერავინ აუკრძალავს ამას.

სხვათა შორის, თავის დროზე, ბრიტანელებმა თქვეს კიდეც, რომ თუ საჭიროდ ჩათვლის, უკრაინას აქვს უფლება, მტრის ტერიტორიაზე გადაიტანოს ომი. არსებობს ტერმინი – „ომის გადმოდინება“ და ეს ჩვეულებრივი, ომის ბუნებაა, არავინაა ამისგან დაზღვეული, მით უმეტეს ისეთი აგრესორი ქვეყანა, როგორიც რუსეთია. ომის გადმოდინების საფრთხე რუსეთს აქვს და ეს აუცილებლად მოხდება. პირდაპირ უკრაინის სამხედრო მანქანა იქნება მონაწილე, თუ რუსეთის შემადგენლობაში ძალით დაკავებული სხვადასხვა ნაციები – თუნდაც, ჩრდილოეთ კავკასია, სათათრეთი ან სხვა დამონებული ერები, რომლებიც მოინდომებენ გათავისუფლებას.

მოკლედ, რუსეთი დგას დაშლის საფრთხის წინაშე, რა თქმა უნდა, როდესაც აღარ ეყოლება თავისი შეიარაღებული ძალები და რომელზეც გაგრძელდება სანქციები, უფრო მოწყვლადი გახდება. რუსეთი პირდაპირი კანდიდატია ამ საერთაშორისო იზოლაციის, უპერსპექტივობის, სიდუხჭირისა და ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, დაშლისა. ამ ომში წარუმატებლობა გახდება ბიძგი იმისა, რომ „ციხის კედლები დასკდეს და დაინგრეს“.

– ყირიმში განვითარებული მოვლენები, შესაძლოა, გახდეს გარდამტეხი ამ ომის ბედისა უკრაინის სასარგებლოდ?

– ჩემთვის ეს ნათელი იყო, როცა რუსეთმა ხერსონიდან გამოიყვანა ფლოტი და შეიყვანა არა ყირიმში, არამედ, ნოვოროსიისკში, ეს ნიშნავდა, რომ იცოდნენ იმ რაკეტების შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც უკრაინას ჰქონდა და ეცადნენ, ფლოტი გადაერჩინათ. თუმცა, ფლოტის ეფექტიანობა „კრეისერ მოსკოვის“ დაბომვის შემდეგ, თითქმის, მინიმუმამდეა დაყვანილი ანუ ვხედავთ, რომ რუსეთი შავ ზღვაში მალავს თავის ფლოტს, რათა არ განადგურდეს. ზუსტად ამის გამოძახილია ყირიმიც ანუ დღეს, რუსეთის მოსახლეობამ დაინახა, რომ ყირიმი უსაფრთხო აღარაა. ერთი კარგი შეძახილი იყო გავრცელებულ კადრებში, თუ ნახეთ – ახალგაზრდა ეუბნება უფროსს, გავიქცეთო და ის პასუხობს, შენი ხის ქოხი დაგვიცავსო?..

– როგორ ფიქრობთ, ეს ფრაზა გახდება ამ ომის ბედის გადაწყვეტის სიმბოლო?

– რუსეთის მოსახლეობამ უკვე დაინახა, რომ დაუცველია ამ ხელისუფლების ანუ პუტინის ხელში. დიდი ხანია, იციან, რომ მონობაში არიან და არანაირი პერსპექტივა არ აქვთ. 25 მილიონი ადამიანი გაიქცა ქვეყნიდან მას შემდეგ, რაც რუსეთმა ომი დაიწყო უკრაინაში. ყირიმის დაბომბვის შემდეგ, მათ ისიც იგრძნეს, რომ საკუთარ სახლებშიც დაუცველები არიან. მათი ოჯახები არიან დაუცველნი და ეს ყველაფერი დამოკიდებულია უკრაინის გენშტაბის კეთილ ნებაზე. ის, რომ დღეს, რუსეთის ქალაქები ძაძებით არ არიან შემოსილნი და არც საყოველთაო გლოვაა გამოცხადებული, ჯერჯერობით, ბუნკერებში არ ათენ-აღამებენ, ეს არის უკრიანის გენშტაბის კეთილ ნებაზე, ქრისტიანობაზე, ადამიანობასა და ზნეობაზე დამოკიდებული.

ვანო პავლიაშვილი

დიდი „რუსულმანური“ შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

საიდუმლო თათბირი შევარდნაძესთან და შინაგანი ჯარის გენერლის გამოუქვეყნებელი მემუარები

ზუსტად 30 წლის წინ, 1992 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთში ომი დაიწყო... წლების განმავლობაში, ამ ომს ქართულ-აფხაზურ შეიარაღებულ კონფლიქტს ვუწოდებდით, თუმცა იმთავითვე ნათელი იყო, რომ სამურზაყანოში ტყვია ერთმორწმუნე „ჩრდილოეთური დათვის“ წაფითილებით გავარდა. საერთოდ, რუსეთმა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლა 90-იან წლებში კი არა, გაცილებით ადრე, კერძოდ, ორი საუკუნის წინ დაიწყო, თუმცა იმ „რუსულმანებს“, რომლებისთვისაც მზე ისევ ჩრდილოეთიდან ამოდის, ამის აღიარება არ უნდათ. სიტყვამ მოიტანა და, „რუსულმანები“ სახალხო პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსიკონიდანაა. სალახანებმა ბატონ ჯანსუღს სწორედ ეს ეპითეტი ვერ აპატიეს და პასკვილი გამოუცხვეს, რასაც ქართული პოეზიის ბერმუხის ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად დამძიმება მოჰყვა. მაშინ ჯანსუღ ჩარკვიანმა განსაცდელს თავი მალე დააღწია და მრავალჭირნახულ ერს არაერთხელ შეუძახა, თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრიაო.

დიახ, თავისუფლება მართლაც ლომთა ხვედრია და კრემლი წლებია, სწორედ იმ ქართველი ლომების განადგურებას ცდილობს, რომლებიც მზისა და ვარდების მხარეს საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ და იცავენ! ვაგლახ, ხანდახან ლაჩრებიც გამოგვერევიან ხოლმე, რომლებიც მტერს „ბაბაიას“ ეძახიან და პირადი გამორჩენისა თუ სხვა მერკანტილური მოსაზრებით, არც სამშობლოს ღალატზე ამბობენ უარს!

გახდა თუ არა აფხაზეთის დაკარგვის მიზეზი ღალატი? – ეს მხოლოდ ღმერთებმა და პოლიტიკური სამოთხიდან განდევნილმა ანგელოზებმა იციან, თუმცა საარქივო მასალები, ასევე, თვითმხილველთა მონათხრობი ირიბად მოწმობს, რომ ვიღაცებმა სული ლუციფერს მიჰყიდეს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, აფხაზეთი კრემლს ჩააბარეს, რასაც ცხინვალის რეგიონის ანექსია-ოკუპაციაც მოჰყვა...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღევანდელი X-ფაილის წაკითხვა ბევრს მიძინებულ ჭრილობებს გაუღვიძებს, ზოგს კი, ალბათ, ომის წინაპერიოდის კულუარების გახსენება არ ესიამოვნება, მაგრამ ეს ჩვენი ისტორიაა, ისტორია, რომელსაც ვერც შევცვლით და ვერც დავმალავთ, რამეთუ შელამაზებულ და დამალულ ისტორიაზე ღირსეულ მომავალს ვერ ავაშენებთ!

მაშ, ასე: „ვერსია“ 30 წლით უკან, 1992 წელში გაბრუნებთ და შინაგანი ჯარების ყოფილი სარდლის, გენერალ გელა ლანჩავას გამოუქვეყნებელ მემუარებზე დაყრდნობით, საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილი „რუსულმანური“ შეთქმულების უცნობ დეტალებს გთავაზობთ. სხვათა შორის, გელა ლანჩავას ზემოხსენებული მემუარები ჩემს პირად ჟურნალისტურ არქივში ინახება...

პირისპირ ურჩხულთან

„... აფხაზეთის ომი ჯერ არ დაწყებულა, თუმცა იქ ყველაფერი რიგზე ვერ არის. იმხანად, აფხაზეთის უშიშროების მინისტრი ავთანდილ იოსელიანი იყო. იგი ჩემი დიდი ხნის მეგობარია და ურთიერთობა გვქონდა, მით უმეტეს, რომ ამას საქმეც გვავალებდა. ავტონომიური რესპუბლიკის საზღვარზე, ჩვენი 17 „ბმპ“ იყო განლაგებული. არძინბამ ეს, რა თქმა უნდა, იცოდა. საკმარისი იყო, თუნდაც ერთი საბრძოლო მანქანა დაძრულიყო ადგილიდან, მაშინვე პანიკაში ვარდებოდა, რეკავდა ავთანდილ იოსელიანთან და ეხვეწებოდა: „ავტო, პოპროსი სვოემუ დრუგუ, პუსტ უსპოკოეტსია“. თურმე, ავთოს უთქვამს საუბარში, შინაგანი ჯარების სარდალი გელა ლანჩავა ჩემი მეგობარიაო და „შუამავლად“ მას მიგზავნიდა ხოლმე“... – ესაა ამონარიდი გელა ლანჩავას გამოუქვეყნებელი მემუარებიდან, რომელშიც აფხაზეთის ომის გარდა, საუბარი 1991-92 წლების ცნობილ მოვლენებზეცაა, თუმცა ვინაიდან აფხაზეთის ომის X-ფაილს ვადგენთ, ამჯერად „ვერსია“ ყურადღებას მხოლოდ სამურზაყანოში, 30 წლის წინ მომხდარ სისხლიან ამბებზე გაამახვილებს.

... 1992 წლის ზაფხულია...

აფხაზეთის რკინიგზაზე აფეთქებები იწყება... ავტონომიურ რესპუბლიკაში ვითარება ნელ-ნელა და მიზანმიმართულად იძაბება.

... შინაგანი ჯარის სარდალს ძილს ტელეფონის ზარი უფრთხობს. ყურმილს უხალისოდ სწვდება...

– გელა, ხომ არ გაგაღვიძე? – შევარდნაძის ხმის გაგონებაზე, ლანჩავა უმალ გამოფხიზლდება.

– გისმენთ, ბატონო ედუარდ!

– იქნებ, სოხუმში ჩახვიდე, არძინბას შეხვდე და გაიგო, რა ხდება? – სახელმწიფო მეთაური სვენებ-სვენებით ლაპარაკობს, – ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შინაგანი ჯარების შესვლის საკითხიც მოაგვარე...

მეორე დღეს, გელა ლანჩავა და ვალერი ჩხეიძე აფხაზეთში მიფრინავენ. სოხუმის აეროპორტში მათ ავტონომიური რესპუბლიკის შს მინისტრი, გივი ლომინაძე ხვდება და პირდაპირ არძინბასთან მიდიან... არძინბას დაცვა სტუმრებს იარაღის ჩაბარებას არ სთხოვს. გენერალ ლანჩავას „სტეჩკინი“ აქვს... მერე, წლები რომ გავა, ლანჩავა ორაზროვნად იტყვის, რა ვიცოდი, არძინბას სახით, რა ურჩხული იკრებდა ძალას, თორემ, ალბათ, ბევრს არ ვიფიქრებდიო...

ამონარიდი გელა ლანჩავას გამოუქვეყნებელი მემუარებიდან:

„... არძინბამ თათბირი მოიწვია, რომელსაც ჩვენი მხრიდან მე, ვალერი ჩხეიძე და ავთო იოსელიანი ვესწრებოდით; აფხაზთა მხრიდან კი – თავად არძინბა, ალექსანდრე ანქვაბი, პოლკოვნიკი კაკალია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ზურაბ აჩბა. მოლაპარაკებამ კარგად ჩაიარა. არძინბამ სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა და კონიაკითაც გაგვიმასპინძლდა. არძინბა, ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით, შინაგანი ჯარების აფხაზეთში შესვლას დათანხმდა... იმავე დღეს, მე აფხაზეთის ტელევიზიით გამოვედი და მოსახლეობას მივმართე: 1989 წლის მოვლენები აფხაზების მხრიდან უდიდესი შეცდომა იყო. ჩვენ, ქართველები და აფხაზები, ერთნი ვართ. არ შეიძლება და არც მოხდება ჩვენი გათიშვა და მტრად მოკიდება. ომი არ იქნება! ის, ვისაც ეს სურს, თავად არის ჩვენი მტერი-მეთქი!“

... არძინბასთან შეხვედრიდან სამი დღეა გასული. გელა ლანჩავას სოხუმიდან დემურ მიქაძე ურეკავს:

– გელა, ექსპრეზიდენტის მომხრე ნუგზარ მოლოდინაშვილი დავაკავეთ, ჩამოდით და წაიყვანეთ.

ლანჩავა, სამი ჯარისკაცის თანხლებით, სოხუმში მიფრინავს, მაგრამ აეროპორტში მიქაძე არ ხვდება. გენერალი ქალაქში გასვლას დამოუკიდებლად ცდილობს, თუმცა ადგილობრივი მილიცია წინააღმდეგობას უწევს. ლანჩავა არძინბას ურეკავს.

– „ესლი ეტო ლანჩავა, ვპუსტიტე ეგო ვ გოროდ“, – არძინბას სიტყვები ლანჩავას მრავლისმთქმელად ეჩვენება.

... აფხაზეთში რკინიგზის ლიანდაგებს პერმანენტულად აფეთქებენ. ედუარდ შევარდნაძე საგანგებო თათბირს მართავს, რომელსაც სახელმწიფო საბჭოს წევრების გარდა, რომან გვენცაძე, გია გულუა, რემი ვაშაკიძე და გელა ლანჩავაც ესწრებიან. რემი ვაშაკიძე აფხაზეთში სპეციალიზებული სარკინიგზო დაცვის 1500-კაციანი ბრიგადის გაშვებას ითხოვს... გადაწყდა: რკინიგზას შინაგანი ჯარი დაიცავს! გენერალი ლანჩავა აფხაზეთში მიდის.

... 1992 წლის 12 აგვისტოა.

ამონარიდი გელა ლანჩავას გამოუქვეყნებელი მემუარებიდან:

„... სამტრედიაში შეჩერება მოგვიხდა, რადგან თავდაცვის მინისტრი, თენგიზ კიტოვანი თათბირს ატარებდა და ჩემი დასწრება აუცილებელი იყო. თათბირზე გაირკვა, რომ ახალქალაქში დისლოცირებული რუსული არმიის ერთ-ერთ დივიზიას, საქართველოდან წასვლის წინ, ჩვენთვის მათ ხელთ არსებული მძიმე ტექნიკისა და შეიარაღების ნაწილი გადმოუცია. ტექნიკა უკვე სამტრედიაში იყო ჩამოტანილი. მისი პლატფორმებიდან ჩამოღება, სენაკის შესასვლელთან (ხობის მხრიდან) გადაყვანა და მოწყობა მე დამევალა. დავალების შესრულებას ორი დღე მოვუნდით. დილის 05.00 საათზე, იქ ჩამოვიდნენ თენგიზ კიტოვანი და ჯემალ ჭუმბურიძე. კიტოვანის ბრძანებით, მე ერთი ტანკით, ორი „ბეტეერითა“ და ორმოცდაათიოდე კაცით, 14 აგვისტოს, დილის 08.00 საათზე, მდინარე ინგირზე გადავედი, „ტეკზე“ დავდექი და, როგორც გაფრთხილებული ვიყავი, თავდაცვის მინისტრის მოსვლას დაველოდე. იმავე დღეს, ჩვენ შემოგვიერთდა ტარიელ აბუაშვილის სატანკო ნაწილი თავისი მძიმე ტექნიკით და დევი ჩაკვეტაძის საარტილერიო ნაწილი. ყველა ერთად ველით ბრძანებას. დაახლოებით, 10.00 საათზე, სატვირთო მანქანების ხმა მოგვესმა. ეს სოხუმის ბატალიონი გამოდგა, სოსო ახალაიას მეთაურობით. მათ „ლაფეტებზე“ დაწყობილი ოთხი ტანკი და ორი „ბმპ“ მიჰყავდათ (საომრად მიმავალ კაცს საბრძოლო ტექნიკა „ლაფეტებით“ არ მიაქვს)... მოგვიანებით, აბუაშვილი და ჩაკვეტაძეც ახალაიას გზას გაუყვნენ...

სოხუმიდან არაფერი ისმის. შევფიქრიანდი. ამბის გასაგებად ბიჭები მანქანით გავგზავნე. მაინც ვერაფერი გავარკვიეთ... მეტი ცდა აღარ შეიძლებოდა. წავიყვანე ჩემი ხალხი და ოჩამჩირეში წავედი. გზაში თავზარდამცემი ამბავი შევიტყვეთ: სოსო ახალაიას ნაწილისთვის აფხაზებს ცეცხლი გაეხსნათ...

დასასრული მე-5 გვერდზე

დიდი „რუსულმანური“ შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

მე-4 გვერდიდან

... მსუბუქი მანქანებით მოვიდა თბილისის ქალაქის პოლიციის სამმართველოს შემადგენლობა, დავით ზეიკიძის მეთაურობით. მაშინვე ვუთხარი, – დათო, რაღაც ფარსაგი გვჭირს და იქნებ, გაარკვიო, რა ხდება-მეთქი. ზეიკიძე წავიდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ შევიტყვეთ, რომ სოხუმის მისადგომებთან ხოცვა-ჟლეტა იყო დაწყებული და ჩვენიანებს დახმარება სჭირდებოდათ“...

გენერალი ლანჩავა ოპერატიული პოლკის მეთაურს, გუჯარ ყურაშვილს ზურგის გამაგრებას ანუ ტყვარჩელში შესვლის დავალებას აძლევს. თვითონ გია ყარყარაშვილის კოლონას უერთდება და გეზს სოხუმისკენ იღებს.

... 1992 წლის 12 აგვისტო... ტამიში... აფხაზები ხიდს აფეთქებენ. ქართველთა მხრიდან, რევაზ ჯაში და ვლადიმერ ოსიშვილი იღუპებიან. გია ყარყარაშვილი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩება...

13 აგვისტო. დილა... ქართველები შეტევაზე გადადიან... მსტოვრები იუწყებიან, არძინბა გაქცევას აპირებსო... მაშასადამე, „აფხაზური სეპარატიზმი“ მალე ამოიძირკვება, მაგრამ მოულოდნელად, თბილისიდან ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება მოდის. მეომრები გაოგნებულნი არიან... გელა ლანჩავა წლების მერეც ვერ გაარკვევს, ცეცხლის შეწყვეტა ვინ და რატომ მოითხოვა.

დაღამდა...

ხვალ 14 აგვისტოა...

ხვალ აფხაზეთში ომი უნდა დაიწყოს!

ღალატი

... კვირაზე მეტია, შინაგანი ჯარი ტყვარჩელში დგას, ზურგს იცავს. ბიჭები სიტუაციას სრულად აკონტროლებენ, ბრძანებებსაც უსიტყვოდ ასრულებენ... სოხუმიდან ხმა მოდის, ზოგიერთმა ქართულმა შენაერთმა „მოროდიორობა“ დაიწყოო. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, ავტონომიის დედაქალაქში, სიტუაციის მოწესრიგება შინაგან ჯარს ევალება. ტყვარჩელში კი სხვა ბატალიონი შედის...

დამარცხებისთვის განწირული საქართველო პირველ შეცდომას უშვებს.

ამონარიდი გენერალ გელა ლანჩავას გამოუქვეყნებელი მემუარებიდან:

„... შინაგანი ჯარის ნაცვლად, ზურგის დასაცავად გაგზავნილი ბატალიონი შიგ ტყვარჩელში კი არ შევიდა, არამედ, მოშორებით დასცა ბანაკი, ამით მტერს ქალაქის დაკავების შანსი მისცა. ეს შესაძლებლობა აფხაზებმა კარგად გამოიყენეს... გარდა იმისა, რომ ტყვარჩელი გეოგრაფიულად მიუდგომელია, საქმეს ისიც ართულებდა, რომ აფხაზებმა „ძოტების“ აგება მოასწრეს. მათ კარგად გამოიყენეს მეორე მსოფლიო ომის დროს აგებული „ძოტებიც“ და ტყვარჩელის დაბრუნების ყველა ცდა კრახით დასრულდა“...

... კრემლი ინიციატივით გამოდის, 3 სექტემბერს, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებით, მოსკოვში მოლაპარაკებები გაიმართოს. ჩრდილოეთში გამგზავრებამდე, ედუარდ შევარდნაძე გელა ლანჩავასა და გია ყარყარაშვილს ახალი ათონის აღებას ავალებს. ქართველების სტრატეგია ასეთია: ფრონტის მარჯვენა ფლანგს გია ყარყარაშვილის შენაერთი გაამაგრებს, მარცხნიდან გელა ლანჩავა შეუტევს, ცენტრს ტარიელ აბუაშვილი უხელმძღვანელებს...

მაშ ასე, ქართველები შეტევაზე გადადიან!

ამონარიდი გენერალ გელა ლანჩავას გამოუქვეყნებელი მემუარებიდან:

„... ყარყარაშვილმა ამოცანას თავი კარგად გაართვა, მაგრამ ცენტრმა... ცენტრში რა მოხდა, ჩემთვის დღესაც გაუგებარია. არ ვიცი, ტაქტიკა არ უვარგოდათ, თუ არაორგანიზებულობის ბრალი იყო, ფაქტი ერთია: მძიმე ბრძოლაში 27 კაცი დაიღუპა. დიდი იყო მძიმე ტექნიკის ზარალიც. აფხაზთა გააფთრებულმა წინააღმდეგობამ, რომელიც შემდეგ შეტევაში გადაიზარდა, გვაიძულა, უკან დაგვეხია. სწორედ ამ ბრძოლაში დადასტურდა ეჭვი რუსების მიერ აფხაზთა მხარდაჭერის თაობაზე. რუსები ლაბორატორიიდან საოცარი სიმძლავრის ჭურვებს გვიშენდნენ და სწორედ მათ აგვიფეთქეს რამდენიმე ტანკი. ამ შეტევის მარცხი იმანაც განაპირობა, რომ ჩვენს მფრინავებს, რომლებიც თავს არ ზოგავდნენ და არაერთხელ გამოიჩინეს გმირობა, საბრძოლო გამოცდილება აკლდათ“...

... 3 სექტემბერია. სახელმწიფო მეთაური მოსკოვში მიფრინავს. ედუარდ შევარდნაძე და ვლადისლავ არძინბა ხელს აწერენ დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, არაოფიციალურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა, ორივე მხრიდან, იარაღი უნდა ჩააბარონ და თვითლიკვიდაცია გამოაცხადონ. შეთანხმებაში ისიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ აფხაზეთს ავტონომია შეუნარჩუნდება. ერთი სიტყვით, ისეთი პირი უჩანს, ომი მალე უნდა დასრულდეს, მაგრამ... სწორედ ამ დროს, აფხაზთა დასახმარებლად სოხუმში ადიღელები, ჩეჩნები და კაზაკები ჩადიან. პარალელურად, აფხაზები გენერალ ბაგრამიანის სახელობის ბატალიონს აყალიბებენ, რომელსაც იარაღითა და მძიმე ტექნიკით რუსეთი ამარაგებს...

ამონარიდი გენერალ გელა ლანჩავას გამოუქვეყნებელი მემუარებიდან:

„... ამასობაში, ნოემბერი დადგა. აფხაზები უკვე ზურგიდან გვიტევენ, პარტიზანულად მოქმედებენ და დივერსიებს აწყობენ. ძალიან გვიჭირს. აშკარად გვჯაბნიან... განსაკუთრებით, ტამიშის მისადგომებთან გაგვიჭირდა. იქ თბილისიდან სახელმწიფო მეთაურის ბრძანებით ჩაყვანილი შინაგანი ჯარების 1200 ჯარისკაცი იბრძოდა. სწორედ იქ მომიკლეს ერთ-ერთი დანაყოფის მეთაური, ვახტანგ შანავა, რომელიც რუსეთში სპეციალურად მომზადებულ ასეულს (ასეთ რაზმს „ღამურა“ ჰქვია) ხელმძღვანელობდა... ოჩამჩირესთან, ერთ-ერთ ბრძოლაში დავიჭერი და თბილისში გადმომიყვანეს. ორ კვირას ვმკურნალობდი“...

1993 წლის 25 თებერვალს, გელა ლანჩავას გენერალ-მაიორის წოდებას მიანიჭებენ. ზუსტად ერთი თვის შემდეგ, სოხუმის დაცემის პირველი საფრთხე გაჩნდება. იმ დღეს, ლანჩავას დილაუთენია დაურეკავენ და შეატყობინებენ, რომ 08.00 საათზე, ედუარდ შევარდნაძესთან უნდა იყოს.

– აფხაზებმა სოხუმზე ფართომასშტაბიანი შეტევა განახორციელეს და საპასუხო ზომები თუ არ მივიღეთ, შეიძლება, ქალაქი დავკარგოთ, – სახელმწიფო მეთაური მღელვარებას არ იმჩნევს.

– ბატონო ედუარდ, თუ ნებას დამრთავთ, ჩემი 1600 კაცით, ორსაათნახევარში სოხუმში ვიქნები და ქალაქის შესანარჩუნებლად ყველაფერს გავაკეთებ! – გელა ლანჩავას ყველა გაოცებული უყურებს. მართლაც დაუჯერებელია, ასეთ მცირე დროში გენერალმა 1600 კაცის მობილიზება შეძლოს... შინაგან ჯარს აფხაზეთში შს მინისტრი, თემურ ხაჩიშვილი გააცილებს და აღფრთოვანებული იტყვის, ახლა დავრწმუნდი, რომ საქართველოს არმია მართლა ჰყავსო.

... სოხუმსა და მის შემოგარენში გააფთრებული ბრძოლებია. ფრონტის წინა ხაზზე ედუარდ შევარდნაძე ჩადის.

ამონარიდი გენერალ გელა ლანჩავას გამოუქვეყნებელი მემუარებიდან:

„... სახელმწიფო მეთაურმა გამომიძახა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზეგანის დაკარგვა მაცნობა. ყველაფერი გასაგები იყო... იმ მაღლობის ასაღებად, დაახლოებით, 100 კაცი გავუშვი, რომელსაც ჩემი ადიუტანტი, წლოვანებით პატარა ლეიტენანტი ფრიდონ ლომიძე ჩავუყენე სათავეში. ფრიდონმა იმედი ასი პროცენტით გამიმართლა – მან არა მარტო უდანაკარგოდ აიღო ზეგანი, არამედ, მას ერთი კვირის განმავლობაში, იცავდა კიდეც. მაშინ აფხაზებმა დიდი ზარალი ნახეს... სოხუმი დაცემას გადარჩა, თუმცა ქართულმა მხარემ კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა: იმის მაგივრად, კონტრშეტევაზე გადავსულიყავით, მხოლოდ შენარჩუნებული პოზიციების გამაგრებაზე ვზრუნავდით. არ ვიცი, ვინ გასცა ასეთი ბრძანება. ნუთუ, არავის ესმოდა, რომ შეტევის მოგერიების შემდეგ, მით უმეტეს, რომ გაგრა უკვე დაკარგული იყო, აუცილებლად კონტრშეტევაზე უნდა გადავსულიყავით? არ მგონია, ეს შეცდომა საქმის უცოდინრობით, უვიცობით ყოფილიყო გამოწვეული...

სოხუმში ადგილობრივი მცხოვრებლებისგან ბატალიონების დაკომპლექტება დაიწყო. შეიქმნა ბრიგადა, რომელსაც სათავეში გენო ადამია ჩაუდგა. ეს იყო ძალზე ჭკვიანური და სწორი ნაბიჯი... რუსებმა უკვე დაუფარავად დაიწყეს საქართველოს წინააღმდეგ მოქმედება. ტამიშზე, ოჩამჩირის მხრიდან, მათი სადესანტო ბატალიონი „კატრანი“ გადმოვიდა. მას არნახული წინააღმდეგობა გაუწია დუშეთის ბატალიონმა. ამ ბრძოლაში ბატალიონის 80 წევრი დაიღუპა. სასწრაფოდ უნდა მივშველებოდით. მათ დასახმარებლად კინდღში მყოფი ჩემი ასეული გავუშვი. ასეულმა უმაგალითოდ იბრძოლა. დახმარება კი, რომელსაც ახალი კინდღიდან ველოდით, არ ჩანდა. ასეულიდან მხოლოდ 37 კაცი გადარჩა...

ასეთი მცირე ძალებით რუსების გამკლავება შეუძლებელი იყო, მაგრამ ის 37 კაცი, ალბათ, არ დათმობდა პოზიციებს, ტყვია-წამალი რომ ჰქონოდა. ალყაში მოქცეულებმა ხერხს მიმართეს: საფარიდან ხელყუმბარების ნაცვლად, ახლოს მომდგარ მტერს ქვები დაუშინეს. რუსებმა იფიქრეს, ყუმბარებიაო, მაგრამ რომ არ აფეთქდა, უცებ მოეგნენ გონს და იყვირეს: „უ ნიხ გრანატი კონჩილის“ და შეტევაზე გადმოვიდნენ. მაშინ ჩვენმა ბიჭებმა დარჩენილი ოთხად-ოთხი ყუმბარა ისროლეს და ზუსტად მტრის შუაგულში ააფეთქეს. ამან მტერს არა მარტო საგრძნობი ზიანი მიაყენა, არამედ, არევ-დარევაც შეიტანა მის რაზმში და ქართველებს ალყის გარღვევისა და ცოცხლად გამოღწევის საშუალება მიეცათ.

არ მინდა დავასახელო იმ ადამიანთა გვარები, რომლებსაც ჩემი ასეულის დასახმარებლად წამოსვლა ევალებოდათ და ადგილიდან არ დაიძრნენ. ალბათ, წაიკითხავენ ამ სიტყვებს და საკუთარ გულში ჩაიხედავენ. მათ სინდისზეა იმათი სიცოცხლე, რომლებიც იმ უშეღავათო ბრძოლაში დაიღუპნენ! მოგვიანებით შევიტყვე, ახალ კინდღში მდგომი ერთ-ერთი ნაწილის მეთაურს, ჩემი ასეულის დასახმარებლად ტანკში ჩამსხდარი ხალხი უკან დაუბრუნებია, სადღა მიდიხართ, ისინი უკვე ცოცხლები აღარ იქნებიანო! წამოსულიყვნენ, იქნებ, მოესწროთ?!.. ომის დამთავრების შემდეგ, არაერთხელ ითქვა, აფხაზეთი გაიყიდაო. აფხაზეთი კი არ გაიყიდა, არამედ, თავად დავკარგეთ. დავკარგეთ ჩვენი უთაურობითა და უგნურებით!“

... 1993 წელი. აფხაზეთში ომი მძვინვარებს...

საქართველოს ტელევიზიის ეთერში, ფრონტის წინა ხაზიდან მიღებულ ცნობებს ტურისტული ბიუროების რეკლამა ცვლის... თბილისის აეროპორტი სრული დატვირთვით მუშაობს. ერთი თვითმფრინავიდან აფხაზეთში დაჭრილ-დასახიჩრებული ბიჭები ჩამოჰყავთ, მეორედან დუბაიში ნაყიდი „ტავარი“ ჩამოაქვთ...

სოხუმიც მალე დაეცემა!..

ირაკლი ღარიბაშვილი: საწვავი 20-30 თეთრით გაიაფდება

მაკა რუხაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი მოსახლეობას საწვავის კიდევ 30 თეთრით გაიაფებას პირდება. მთავრობის სხდომის დაწყებამდე ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მართალია, ივლისსა და აგვისტოში საწვავი გაიაფდა, მაგრამ ფასის კლება ფაქტორების პროპორციული არ არის. მეტიც, პრემიერმა ისიც აღნიშნა, რომ იმპორტიორებისგან უკვე მიიღეს პირობა და გამორიცხული არაა, საწვავის ფასი 20-30 თეთრით კიდევ შემცირდეს. პარალელურად, საერთაშორისო ბაზრებზე – ნიუ იორკისა და ლონდონის საერთაშორისო ბირჟებზე ნავთობის ფასი მკვეთრად დაეცა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ რეკომენდაციით მიმართა კონკურენციის სააგენტოს, რათა უწყებამ დაიწყოს მოკვლევა და შეამოწმოს, რამდენად კეთილსინდისიერად ოპერირებენ ნავთობის იმპორტიორები. ღარიბაშვილს აინტერესებს, იცავენ თუ არა კონკურენციის პირობებს, რა მარჟებით მუშაობენ და რა მოგება აქვთ იმპორტიორებს.

„მინდა, ჩვენი მოქალაქეებისთვის განვმარტო: ჩემი დავალებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ასევე ფინანსთა მინისტრები შეხვდნენ საწვავის იმპორტიორებს. ჩვენ აქტიურად ვაკვირდებით საწვავის ფასებს და მჭიდრო კოორდინაციაში ვართ კონკურენციის სააგენტოსთან. მე ვესაუბრე მათ და მართალია, ლარი გამყარდა და საწვავის ფასებიც პლაცზე დაკლებულია, ჯერ კიდევ გვაქვს განცდა იმისა, რომ შესაბამისად არ ჰპოვა ასახვა საწვავის ფასებმა და არ მოხდა პროპორციული კლება, ამიტომ საჭიროა გავააქტიუროთ მუშაობა იმპორტიორებთან. იმპორტიორები შეგვპირდნენ, რომ კიდევ მეტად დააკლებენ საწვავს ფასს, ჯამში, 20-30 თეთრით. საჭიროა მეტი გამჭვირვალობა, რა მარჟებით მუშაობენ, რამდენია მათი მოგება და სხვა“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ვნახოთ, როგორი იყო ნავთობპროდუქტების იმპორტი ივლისში და მას შემდეგ, რაც ციფრებს გავაანალიზებთ, უკეთ დავინახავთ, რამდენად რეალურია საწვავის გაიაფების შანსი. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ნავთობპროდუქტების იმპორტი ივლისში საგრძნობლად გაიზარდა, განსაკუთრებით, საცხებ-საპოხი მასალების იმპორტმა მოიმატა. ზრდა ფიქსირდება სანავთობო ბიტუმის იმპორტშიც, საავიაციო ნავთის იმპორტში კი მცირეოდენი კლებაა. ამ კლების მიუხედავად, საავიაციო ნავთის მოხმარება მაინც ინტენსიურია, რადგან ამ პერიოდში, საჰაერო მიმოსვლა გააქტიურდა.

„მთლიანობაში, ნავთობპროდუქტების ბაზარზე, მკვეთრი მატება არ შეინიშნება, თუმცა არც შემცირებას აქვს ადგილი და შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეტ-ნაკლებად, არსებული ვითარება პოზიტიურია. 2022 წლის ივლისში, საცხებ-საპოხი მასალების იმპორტი 2.16 ათასი ტონა, რაც 0.45 ათასი ტონით ანუ 26.3%-ით მეტია წინა თვის მაჩვენებელთან (1.71 ათასი ტონა) შედარებით და 0.61 ათასი ტონით ანუ 39.3%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან (1.55 ათასი ტონა) შედარებით. რაც შეეხება ქვეყნებს, საიდანაც ამ პერიოდში, საცხებ-საპოხი მასალების საქართველოში იმპორტი განახორციელა, თურქეთი ლიდერ პოზიციაზეა. იმპორტი ამ მიმართულებით 0.43 ათასი ტონა იყო, რაც მთელი იმპორტის 19.9%-ია. შემდეგ მოდის ირანი – 0.42 ათასი ტონით (19.4%), რუსეთი – 0.28 ათასი ტონით (13%) და გერმანია – 0.15 ათასი ტონით (6.9%)“, – აცხადებენ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში.

ისევ სტატისტიკურ მონაცემებს გადავავლოთ თვალი: 2022 წლის ივლისში, საავიაციო ნავთის იმპორტი გაიზარდა, თუმცა წლიურ ჭრილში კლებაა. კერძოდ, ამ პროდუქტის იმპორტი 13.2 ათას ტონაზე დაფიქსირდა, რაც 5.8 ათასი ტონით ანუ 78.4%-ით მეტია ივნისის მაჩვენებელთან (7.4 ათასი ტონა) შედარებით და 2.3 ათასი ტონით ანუ 14.8%-ით ნაკლები – გასული წლის ანალოგიური თვის მაჩვენებელთან (15.5 ათასი ტონა) შედარებით. ივლისში, საავიაციო ნავთის იმპორტის 72% (9.5 ათასი ტონა) განხორციელდა თურქმენეთიდან, ხოლო 28% (3.7 ათასი ტონა) – საბერძნეთიდან.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში აცხადებენ, რომ წლიურ ჭრილშიც და ივლისის განმავლობაშიც, სანავთობო ბიტუმის იმპორტი გაიზარდა. 2022 წლის ივლისის განმავლობაში, სანავთობო ბიტუმის იმპორტი 12.4 ათასი ტონა იყო, რაც 1 000 ტონით ანუ 8.8%-ით მეტია წინა თვის მაჩვენებელთან (11.4 ათასი ტონა) შედარებით და ასევე, 1 000 ტონით ანუ 8.8%-ით მეტი, გასული წლის ანალოგიური თვის მაჩვენებელთან (11.4 ათასი ტონა) შედარებით.

ახლა ვნახოთ, რომელი ქვეყნებიდან განხორციელდა სანავთობო ბიტუმის იმპორტი საქართველოში. 2022 წლის ივლისში, სანავთობო ბიტუმის იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა განხორციელდა აზერბაიჯანიდან – 11.7 ათასი ტონა, რაც მთელი იმპორტის 94.4%-ია. აზერბაიჯანს მოჰყვება თურქმენეთი – 0.7 ათასი ტონით (5.6%). 2022 წლის ივლისში, გათხევადებული აირების იმპორტი 4.2 ათას ტონაზე დაფიქსირდა, რაც 0.9 ათასი ტონით ანუ 27.3%-ით მეტია წინა თვის მაჩვენებელთან (3.3 ათასი ტონა) შედარებით. 2022 წლის ივლისში, გათხევადებული აირების იმპორტის თითქმის 100% რუსეთის ფედერაციიდან განხორციელდა.

როგორც ხედავთ, იმპორტის დინამიკა პოზიტიურია. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში აცხადებენ, რომ ზაფხულის სეზონიდან გამომდინარე, მოთხოვნა იზრდება, რაც ეკონომიკის გამოცოცხლებას (ტურისტული სეზონის გააქტიურებას) უკავშირდება და ეს მოცემულობა მომავალშიც შენარჩუნდება.

„მთლიანობაში, სხვადასხვა კატეგორიაში, ნავთობპროდუქტების იმპორტი პოზიტიური დინამიკით ხასიათდება. შესაბამისად, იზრდება მოხმარება, განსაკუთრებით თვალშისაცემია საავტომობილო ზეთებისა და სანავთობო ბიტუმის იმპორტის მკვეთრი ზრდა. მართალია, მცირედით შემცირდა საავიაციო ნავთის იმპორტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოხმარებამ იკლო. პირიქით, საჰაერო მიმოსვლა და ზოგადად, საერთაშორისო რეისები აშკარად მაღალ მაჩვენებელზეა. რაც შეეხება თხევადი აირის სეგმენტს, მისი იმპორტი და მოხმარება არ იზრდება მიუხედავად იმისა, რომ ბენზინის ფასი მაღალია, ხოლო თხევადი გაზი – მისი ალტერნატივა. ზოგადად, საწვავის ბაზარზე დადებითი ტენდენციაა, რაც საბიუჯეტო შემოსავლების მატებას უკავშირდება. გარდა ამისა, გარკვეულწილად, მოხმარების ზრდა ეკონომიკის აქტივობას უკავშირდება და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილი აქვს პოზიტიურ ტრენდს, რაც, დიდი ალბათობით, მომავალშიც შენარჩუნდება. აგვისტო და სექტემბერი, ამ მხრივ, აქტიური თვეებია და ამ პერიოდში, ტრადიციულად, საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა გააქტიურებულია. ამდენად, ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნა გაზრდილია და ეს ტენდენცია კვლავაც შენარჩუნდება“, – აცხადებენ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში.

* * *

როდესაც საწვავის ფასზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, მსოფლიო ბაზარზე, ნავთობის ფასმა მკვეთრი ზრდა დაიწყო. ომის დაწყებიდან მალევე, Brent-ის ტიპის ნედლი ნავთობის ფასმა ბარელზე 120 დოლარსაც კი გადააჭარბა.

ბოლო პერიოდში, ნავთობის ფასი დასტაბილურდა – ამჟამად, Brenti-ი 94 დოლარამდე, ხოლო WTI-ის ტიპის ნედლი ნავთობი – 88 დოლარამდე ღირს, რაც ომამდელ ღირებულებას უტოლდება. საწვავის ფასების კლება საქართველოში ორიოდე თვის წინ, არაბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურებზე დაიწყო, სადაც საწვავი, დაახლოებით, 30 თეთრით გაიაფდა. რაც შეეხება, ბრენდირებულ სადგურებს, დიზელი აგვისტოში 10-15 თეთრით გაიაფდა.

შემოსავლების მიხედვით საქართველოში უმსხვილესი ნავთობიმპორტიორის, „სოკარის“ ფასების არქივის თანახმად, კომპანიის ბენზინგასამართ სადგურებზე იანვარ-ივლისში ევრო რეგულარის ტიპის საწვავზე თვიური საშუალო ფასი თითქმის 21.6%-ით გაიზარდა. თუ იანვარში, 3.06 ლარი იყო ღირებულება, ივლისში – 3.72 ლარამდე ანუ 66 თეთრით გაძვირდა.

კიდევ უფრო მეტია ფასნამატი დიზელზე – წლის პირველ თვეში, იანვარში, „სოკარის“ სადგურებზე ევრო-დიზელის საშუალო ფასი 2.98 ლარს შეადგენდა, ივლისში კი საშუალო ფასი – 4.66 ლარი ანუ 1.68 ლარით მეტი იყო, რაც 56.4%-იანი ზრდაა.

რაც შეეხება კიდევ ერთ მსხვილ ნავთობიმპორტიორს საქართველოში, „ვისოლს“, ევრო-რეგულარის ტიპის საწვავის საშუალო ფასმა ამ კომპანიის სადგურებზე იანვარ-ივლისში 20.2%-ით, 63 თეთრით მოიმატა. თუ იანვარში საშუალო ფასი 3.12 ლარი იყო, ივლისში 3.75 ლარამდე გაიზარდა.

51.6%-ით, 1.62 ლარითაა გაზრდილი ფასები დიზელზე „ვისოლის“ სადგურებზე და ივლისის საშუალო მაჩვენებელი 4.76 ლარი იყო. წლის დასაწყისში, ევრო-რეგულარისა და ევრო-დიზელის ფასები ერთმანეთისგან მცირედით განსხვავდებოდა, მეტიც, კომპანიების ნაწილი დიზელს უფრო იაფადაც ყიდდა, თუმცა ახლა მდგომარეობა განსხვავებულია და ორი ტიპის საწვავს შორის, თითქმის ერთლარიანი სხვაობაა.

ზოგადად, რუსეთიდან საქართველოში შემოტანილი ბენზინის ფასი ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე დიზელის და სხვაობასაც ეს ფაქტორი განაპირობებს. მიმდინარე წელს, საწვავის მთავარი შემომტანი საქართველოში რუსეთი გახლდათ, არადა, 2021 წელს, პირველ ადგილზე თურქმენეთი იყო, თუმცა წელს, საწვავის ფასის რეკორდული ზრდის გამო, ნავთობიმპორტიორებს საქართველოში ფასდაკლებული რუსულ საწვავი შემოაქვთ. ტოპ 5 იმპორტიორ ქვეყანაში შედის რუმინეთი, თურქმენეთი, ბულგარეთი და აზერბაიჯანი.

რა დარღვევები გამოვლინდა დიასპორულ პროექტებში

მაკა რუხაძე

არამიზნობრივად გახარჯული სახელმწიფო სახსრები – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მორიგი სკანდალური დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური დიასპორის პროექტებით დაინტერესდა. ესაა ქართულ დიასპორასთან კავშირების გაძლიერების ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც 2017-2021 წლებს მოიცავს . აუდიტის მიზანია სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენა და მათ აღმოსაფხვრელად ქმედითი რეკომენდაციების გაცემა. აუდიტი განხორციელდა ერთადერთი მიზნით – სახელმწიფო მაკონტროლებლებს შეესწავლათ, რამდენად უზრუნველყოფილია საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების ინტერესების განხორციელების შესაძლებლობა და რამდენად გამოიყენება ქვეყნის განვითარებისთვის დიასპორის პოტენციალი. აუდიტის ობიექტად განისაზღვრა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2017-დან 2021 წლამდე, დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა განახორციელა შემდეგი პროექტები: „ქართული საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამა“; პროექტი „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“; „მაღალპროფილური დიასპორის წარმომადგენლების დაჯილდოების პროექტი“; პროგრამა „მომავლის ბანაკი“; „დიასპორის დღე“; საგრანტო პროგრამა „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“; „უცხოეთში არსებული ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“. როგორც მოსალოდნელი იყო, პროექტების განხორციელებასა და დაგეგმვაში აუდიტორებმა მთელი რიგი ხარვეზები გამოავლინეს.

ხარვეზები პროექტების დაგეგმვაში

ვიდრე დარღვევებს განვიხილავთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია ერთიანი, ძლიერი და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის განვითარების ხელშეწყობა. ამისთვის, სახელმწიფო აუცილებლობად მიიჩნევს ქართულ დიასპორასთან ისეთი მდგრადი კავშირის ჩამოყალიბებას, რომელიც თანამემამულეებისთვის სახელმწიფოს შესაძლებლობების ფართო ხელმისაწვდომობას, ხოლო საქართველოსთვის – სახელმწიფო ინტერესების ეფექტიან განხორციელებას უზრუნველყოფს. ამის მისაღწევად, აუცილებელია მიგრაციის პოლიტიკის სწორად და ეფექტიანად განსაზღვრა, რაც სრულყოფილად უნდა აისახოს ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებსა და განსახორციელებელ პროგრამებში.

საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებით, დამტკიცდა პროგრამა „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის შესახებ“, რომლის მიზანია დიასპორის ერთიანობის, სიძლიერისა და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნება. ამ პროგრამას ახორციელებს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

„აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ დეპარტამენტს განხორციელებული აქვს მხოლოდ დიასპორული ორგანიზაციების, საკვირაო სკოლებისა და სამრევლოების გამოკითხვა, რომელთა საჭიროებები განსხვავდება დიასპორის ცალკეული წარმომადგენლის საჭიროებებისგან; არ არის მითითებული პროგრამის მოქმედების, შესრულებისა და მისაღწევი შედეგის ვადები; დეპარტამენტს არ განუხორციელებია ისეთი მოქმედებები, როგორებიცაა პროექტების ეფექტიანობისა და მიღწეული შედეგების გაზომვა და შეფასება, რაც აუცილებელია დიასპორის საჭიროებებზე მორგებული ღონისძიებების დაგეგმვისა და შესრულებისთვის“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კვლევები საჭიროებების შესახებ, დიასპორული პროექტების ეფექტიანად დაგეგმვისათვის არასაკმარისია, ვინაიდან გამოკითხულია მხოლოდ დიასპორული ორგანიზაციები – საკვირაო სკოლები და სამრევლოები, რომელთა საჭიროებები დიასპორის ცალკეული წარმომადგენლის საჭიროებებისგან განსხვავდება. შედეგად, აუდიტის ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს, რამდენად სრულყოფილად მოიცავდა ან რამდენად ეფექტიანად მართავდა დიასპორის საჭიროებებს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი ეს აქტივობები.

არასაკმარისი წვდომა დიასპორულ პროგრამებზე

„ახალგაზრდა ელჩებისა“ და „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობის“ საგრანტო პროგრამების საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესის თანახმად, გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები მოიცავდა კონკურსანტის კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასებას. პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ეფუძნებოდა კანდიდატების მიერ წარდგენილი დოკუმენტების, გასაუბრების შედეგების, სამუშაო გამოცდილებისა და განათლების შეფასებას, ხოლო შეფასების დასაბუთებული შედეგი უნდა ასახულიყო კომისიის სხდომის ოქმებში.

„აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ კომისიის სხდომის ოქმებში არ არის ასახული კომისიის მიერ, თითოეული კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგები. შესაბამისად, ვერ მივიღეთ დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია, როგორც დაფინანსებული, ისე უარყოფილი კონკურსანტების შემთხვევებზე – რა მსჯელობებს ეყრდნობოდა კომისია. ასევე, ნაკლოვანებები აღინიშნება საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესშიც. კერძოდ, არ იყო დადგენილი, რა ქულით უნდა შეფასებულიყო ესა თუ ის კრიტერიუმი“.

გარდა ამისა, აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ „ერთიანი, ძლიერი და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის“ პროგრამის ფარგლებში გაცემული გრანტების მართვა მიმდინარეობდა გარკვეული

დასასრული მე-8 გვერდზე

რა დარღვევები გამოვლინდა დიასპორულ პროექტებში

მე-7 გვერდიდან

ხარვეზებით. კერძოდ, საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში არ იყო ასახული კომისიის მიერ თითოეული კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგები.

„ამასთან, საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებს არ ჰქონდა დადგენილი შესაბამისი ქულები. შესაბამისად, ვერ მივიღეთ დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია, რა მსჯელობებს ეყრდნობოდა კომისია, როგორც დაფინანსებული, ისე უარყოფილი კონკურსანტების შემთხვევებზე“.

არაეფექტიანად განხორციელებული პროექტები

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ახორციელებს სხვადასხვა პროექტს, კერძოდ, ქართული საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამას; პროექტს – „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“; მაღალპროფილური დიასპორის წარმომადგენლების დაჯილდოების პროექტს; პროგრამას – „მომავლის ბანაკი“; პროექტს – დიასპორის დღე; საგრანტო პროგრამას – „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“; უცხოეთში არსებული ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერას.

„აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ რიგ შემთხვევაში, ვერ ხორციელდებოდა პროექტში გამარჯვებულთა მიერ, მიმდინარე ხელშეკრულების პირობების შესრულების ქმედითი და ეფექტიანი კონტროლი. რამდენიმე შემთხვევაში, დეპარტამენტს სრულად არ დაუანგარიშებია და არ გამოუთხოვია ინფორმაცია კონკურსანტების მიერ დასაბრუნებელ თანხებზე, რაც კონტროლის მექანიზმების არარსებობაზე მიუთითებს. 2020 წელს, დეპარტამენტის მიერ განხორციელებული „ახალგაზრდა ელჩების“ საგრანტო პროგრამის ფარგლებში, 25 კონკურსანტზე გაიცა 175 000 ლარი. ჩატარებული აქტივობების შესახებ, პროგრამის მონაწილე ბენეფიციარების მხოლოდ ნაწილმა წარადგინა ანგარიშები და ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რამაც სრული თანხის – 175 000 ლარის მხოლოდ 21% შეადგინა. კონკურსანტების დარჩენილმა ნაწილმა სახელმწიფო ბიუჯეტში დააბრუნა აუთვისებელი გრანტი – 137 999 ლარის ოდენობით“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ 2019-2020 წლებში, დეპარტამენტის მიერ განხორციელებული „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, 73 ბენეფიციარი მონაწილეობდა, რომლებმაც ჯამში – 1 316 955 ლარი მიიღეს. აქედან, 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებებიდან, ერთ ბენეფიციარს არ წარუდგენია შესრულებული სამუშაოს ანუ 20 140 ლარის ანგარიშები. 2020 წელსაც მხოლოდ ერთმა ბენეფიციარმა არ წარადგენია 14 300 ლარის ანგარიშები.

„აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ „ახალგაზრდა ელჩების პროგრამის“ მონაწილე კონკურსანტთა უმეტეს ნაწილს – 72%-ს, გამოუყენებელი თანხა გადარიცხული აქვს ბიუჯეტში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ოთხი დღის დაგვიანებით, ხოლო ორ შემთხვევაში, თანხის დაბრუნება დაგვიანებულია 13-დან 22 დღემდე. სინამდვილეში, პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების გამო, თანხები ბიუჯეტში დაგვიანებით ჩაირიცხა; „ახალგაზრდა ელჩების პროგრამის“ კონკურსანტთა მიერ წარდგენილი ანგარიშები არ შეესაბამება საკონკურსო განაცხადებში მითითებულ სამოქმედო გეგმებს, ხოლო დაგეგმილი ღონისძიების შეცვლაზე, რიგ შემთხვევებში, შეთანხმება წარდგენილი არ არის“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტში არსებული კონტროლის მექანიზმებს სრულყოფა სჭირდება, ვინაიდან ორ შემთხვევაში შესრულებულ სამუშაოთა დამადასტურებელი დოკუმენტები არ არის წარდგენილი, ხოლო რიგ შემთხვევებში, დიასპორის წარმომადგენლებს შორის, სათანადოდ არ გავრცელებულა ინფორმაცია დეპარტამენტის საგრანტო დაფინანსებით მიმდინარე პროექტებზე.

„შესაბამისად, დეპარტამენტი მოკლებულია შესაძლებლობას – შეაფასოს განხორციელებული პროექტებით მიღწეული შედეგები და საგრანტო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევებზე, კონკურსანტებისგან დროულად გამოითხოვოს გაცემული საბიუჯეტო სახსრები“.

რეკომენდაციები

ხარვეზების გამოვლენის შემდეგ, სახელმწიფო აუდიტორებმა გარკვეული რეკომენდაციებიც შეიმუშავეს, რაც საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა უნდა შეასრულოს. კერძოდ, დიასპორის საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული პროექტების განსახორციელებლად, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა, მიგრაციის სფეროში მოქმედ სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობითა და ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით უნდა ჩაატაროს კვლევები, რომლის საფუძველზე, დიასპორის წევრების საჭიროებებსა და გამოწვევებს შეისწავლის. რაც მთავარია, უნდა შეაფასოს უკვე განხორციელებული პროექტების ეფექტიანობა და მომავალი პროექტების ბიუჯეტი ჩატარებული კვლევებისა და პროექტების შეფასების შედეგების გათვალისწინებით უნდა დაგეგმოს.

გაცემული გრანტების სათანადოდ განკარგვის მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა გრანტების გაცემის პროცესში მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს გამჭვირვალობის პრინციპი.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პროექტების ეფექტიანობის გასაზრდელად, მიზანშეწონილია, რომ დეპარტამენტმა გააძლიეროს მის ხელთ არსებული კონტროლის მექანიზმები, რომლებიც დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან კოორდინაციით, ბენეფიციართა მიერ მიღებული გრანტების მიზნობრივად ხარჯვას შეუწყობს ხელს და შედეგების გადამოწმების შესაძლებლობასაც შექმნის.

სამართალი

№32 17 აგვისტო 2022 წ

ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმი საკუთარ აგარაკზე ბარით მოკლეს

რა აღიარებითი ჩვენება მისცა მედდამ და რატომ გაიმეტა უფროსი სასიკვდილოდ

ბათო ჯაფარიძე

გასულ კვირას, ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული საქმე ერთი ექიმის მიერ მეორის დაჭრა იყო. საბედნიეროდ, დაზარალებული გადარჩა და იმის მიუხედავად, რომ ეჭვმიტანილი სასამართლო პროცესზე ამტკიცებდა, მოკვლა რომ მდომოდა, მოვკლავდი, ექიმი ვარ და ზუსტად ვიცი, სად უნდა მიმეყენებინა ჭრილობებიო, მას მაინც პატიმრობა შეუფარდეს. ჰოდა, ახლა 82 წლის ბრალდებული სასამართლოს ციხის საკანში დაელოდება. სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ექიმების მიმართ აგრესიას გამოხატავენ. იშვიათად ხდება, რომ მედიცინის მუშაკებმა ერთმანეთზე გაიწიონ, მაგრამ ავადმყოფის ოჯახის წევრების მხრიდან აგრესია ხშირია. ხშირი იყო მაშინაც, როცა 90-იანებში, ექიმები ოპერაციებს სანთლის შუქზე აკეთებდნენ და სასწაულებს ახდენდნენ, მაგრამ სასწაული ყოველთვის არ ხდებოდა და რაღა თქმა უნდა, ნათესავები მთავარ დამნაშავედ ექიმს თვლიდნენ.

სწორედ 90-იანებში, ბავშვთა ერთ-ერთი ინფექციური საავადმყოფო იმ დროისთვის ცნობილმა კრიმინალურმა ავტორიტეტმა გაარემონტა. აი, ასე, მარტივად, ჯიბიდან ამოიღო ფული და თქვა, რომ ის კონკრეტული ბავშვთა ინფექციური სანიმუშო უნდა ყოფილიყო. ის კრიმინალური ავტორიტეტი ამ ამბიდან ნახევარ წელიწადში, საკუთარ სახლთან კი ჩაცხრილეს, მაგრამ საავადმყოფო დარჩა და იქ მოხვედრაც პრესტიჟის საქმე იყო. ჰოდა, მოულოდნელად, ერთ ღამეს, საავადმყოფოში ხანძარი გაჩნდა, ყველაფერი აალდა, ცეცხლმა იმ ადგილამდეც მიაღწია, სადაც სამედიცინო სპირტის მარაგი იყო და მცირე აფეთქებაც მოხდა. ექიმები და ექთნები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ როგორმე ბავშვები გაეყვანათ პალატებიდან, სახანძრო მანქანას, 90-იანი წლების შესაბამისად, დააგვიანდა, მაგრამ მეხანძრეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ როცა ადგილზე მივიდნენ, ცეცხლმოკიდებული შენობა სრულად დაიარეს და კიდევ ორი ბავშვი და ორი ზრდასრული იპოვეს. საბედნიეროდ, ყველას გადარჩენა მოხერხდა, თუმცა სერიოზული დამწვრობა ექვს ბავშვს აღენიშნებოდა და აქედან ორი – რეანიმაციულ განყოფილებაშიც გადაიყვანეს.

ადგილზე სამართალდამცავებისა და ექსპერტების მობილიზება მოხდა. თუ ხანძარი შეგნებულად იყო გაჩენილი, მაშინ საქმე უნდა აღძრულიყო, თუ არადა, ყველაფერი უბედურ შემთხვევას დაბრალდებოდა. ექსპერტებს დიდხანს შრომა არ დასჭირვებიათ – მარტივად, მაგრამ გადაჭრით თქვეს, რომ ხანძარი ცუდი ელექტროგაყვანილობის გამო გაჩნდა და ყველაფერი იატაკიდან დაიწყო ანუ ელექტროგაყვანილობის ნაწილი იატაკში იყო ჩამონტაჟებული, უხარისხო გაყვანილობა აალდა და როგორც იატაკს, ისე ხის ჭერს წაეკიდა, თან ალი გაყვანილობას გაჰყვა, ამიტომ მისი კერების აღმოჩენა გაჭირდა და სანამ პანიკაში მყოფი სამედიცინო პერსონალი ბავშვების გადარჩენას ცდილობდა, ცეცხლი მთელ შენობას მოედო. შედეგად, პასუხისგებაში ვინმეს მიცემა გამორიცხული იყო, იმ კომპანიის წარმომადგენელმა, რომელმაც რემონტი გააკეთა, მშვიდად თქვა, მე რა მასალაც მომიტანეს, იმით გავაკეთეო და მთავარმა ექიმმა კი, რომელიც რემონტს ხელმძღვანელობდა, მხრები აიჩეჩა, ბაზრობაზე რა „კაბელიც“ ვნახე, ის ვიყიდე, მე მედიცინაში ვერკვევი და არა – გაყვანილობაშიო.

თითქოს ყველაფერი მარტივად უნდა დასრულებულიყო, მაგრამ რეანიმაციაში გადაყვანილი ბავშვების მშობლები მილიციის გამყოფილებაში მივიდნენ და კატეგორიულად ითხოვდნენ, საავადმყოფოს მათი შვილების მკურნალობა დაეფინანსებინა. 9 წლის გოგონასა და 11 წლის ბიჭის მდგომარეობა მართლაც მძიმე იყო და ისინი სამკურნალოდ მოსკოვში, დამწვრობის ცენტრში უნდა გადაეყვანათ. საქმე მხოლოდ გადარჩენაში არ გახლდათ, ბავშვებს კანი ისე ჰქონდათ დამწვარი, სერიოზული ქირურგიული ჩარევის გარეშე, ისინი ცხოვრებას ვერ გააგრძელებდნენ, რადგან მოჭიმული კანი ყოველ მოძრაობაზე სკდებოდა და ბავშვებს ენით აღუწერელ ტკივილს აყენებდა.

მოსკოვში მათი გადაყვანა და შემდეგ იქ მკურნალობა ძალიან დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. როგორც წესი, მშობლებს ურჩიეს, სასამართლოსთვის მიემართათ, მაგრამ საქმე დღეებს კი არა, საათებს ეხებოდა და სასამართლო პროცესი, საუკეთესო შემთხვევაში, რამდენიმე კვირა გაგრძელდებოდა. მშობლები სასოწარკვეთილებაში ჩაარდნენ და... მილიციის განყოფილებაში მისვლის მესამე დღეს, ინფექციური საავადმყოფოს ექიმი მანქანიანად გაქრა. როგორც მეზობლები ამბობდნენ, დაინახეს, როგორ ჩაჯდა დილით ექიმი მანქანაში, ავტომობილი, დაახლოებით, სამ წუთში დაქოქა, ეზოდან გავიდა და მას მერე აღარავის უნახავს.

ოფიციალურად, პირი დაკარგულად მხოლოდ 72 საათის გასვლის შემდეგ ითვლება და ძალოვნებმაც ოფიციალური ძებნა, სწორედ სამი დღის შემდეგ დაიწყეს.

მისმა კოლეგამ გამომძიებლებს უთხრა, რომ სწორედ იმ დღეს, ექიმი ახალი ბინის ყიდვას აპირებდა და წესით, თან სოლიდური თანხა უნდა ჰქონოდა. თანხის რაღაც ნაწილი კოლეგას მანაც ასესხა, ექიმს ოროთახიანი ბინაც გაყიდული ჰქონდა და იმის მიუხედავად, რომ ცოლ-შვილი არ ჰყავდა, ოთხოთახიანი ბინის ყიდვას აპირებდა. სამართალდამცავებმა ბინაში ფული ვერ იპოვეს ანუ ის დაკარგულ ექიმს თან ჰქონდა და რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, ეჭვი დაშავებული ბავშვების მშობლებზე მიიტანეს. მათ თავი გაიგიჟეს, რა ექიმი და რა ფული, მარტო ჩვენს შვილებზე ვფიქრობთ, ბინებს ვყიდით, როგორმე, მოსკოვში რომ წავიყვანოთო. ამის მიუხედავად, მათზე თვალთვალი დაწესდა და არც თუ უშედეგოდ. მათი დაკითხვის მეორე დღეს, ბავშვების მამებმა გეზი ქალაქგარეთ აიღეს და მცხეთაში, საკმაოდ სოლიდურ სახლში შევიდნენ. გამომძიებლებმა სასწრაფოდ უბნის რწმუნებული მოიძიეს და ჰკითხეს, ვისი სახლიაო?!

„ინფექციური საავადმყოფო რომ დაიწვა, მთავარი ექიმი ვინც იყო, ის ცხოვრობს ამ სახლში, მაგრამ კარგა ხანია, არ გამოჩენილა, ორიოდე დღის წინ, მისი მანქანით ეს კაცები მოვიდნენ, ერთი დღე აქ იყვნენ და მერე ფეხით წავიდნენ, როგორც ვიცი, მანქანა სახლის გალავანს შიგნით უნდა იდგესო“, – თქვა უბნის რწმუნებულმა და ოპერმუშაკები ეზოში შევიდნენ. მანქანა მართლაც იქ იდგა, მშობლებიც იქ იყვნენ, ექიმი კი არსად ჩანდა.

კითხვის დასმა საჭირო აღარ იყო, მშობლებმა ერთმანეთს უხმოდ გადახედეს, შემდეგ თავდახრილები სახლის უკან გავიდნენ და დიდი ხის ძირში, ახალ თხრილზე მიანიშნეს. ერთ საათში, თხრილიდან ექიმის გვამი ამოიღეს. რაღა თქმა უნდა, ორივე ბავშვის მამები დააკავეს და დაკითხვაზე წაიყვანეს.

„რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გვითხრა, მაგრამ ზუსტად ვიცოდით, რომ რემონტის დროს, მთელი ფული, სწორედ ექიმს ებარა. მან დაზოგა ყველაფერზე, სწორედ იმ ფულით იყიდა და გაარემონტა ეს აგარაკი. ჩვენი შვილების ცოდვა მასზეა. ვიცოდით, რომ ახალი ბინა უნდა ეყიდა, მის მანქანაში ჩავსხედით, იარაღი დავადეთ, აქ წამოვიყვანეთ და გარიგება შევთავაზეთ – ფულს მოგვცემდა, ჩვენ კი ცოცხალს გავუშვებდით და არც იმას ვიტყოდით, რომ საავადმყოფოს დაწვა მისი ბრალი იყო. ორი დღე იფიქრა, მერე დაგვთანხმდა. ისიც ვუთხარით, კრიმინალებს შევატყობინებთ, რომ მათი ფული შეჭამეო და ამის მერე, უფრო დამჯერი გახდა. ღამით უნდა გაგვეშვა, ცოტა დავლიეთ, მერე ორივეს დაგვეძინა, დღისით კი სარდაფში, სადაც დამწყვდეული და დაბმული გვყავდა, ჩავედით და ბარით თავგაჩეხილი ეგდო. ბარიც იქვე იყო და ვერ გავიხსენეთ, რომელმა ჩავიდინეთ ეს. ალბათ, სიმთვრალეში გავბრაზდით და მოხდა ის, რაც მოხდა. კვალის დაფარვის მიზნით, გვამი დავმარხეთ. ერთადერთი თხოვნა გვაქვს – ჩვენ პასუხს ვაგებთ ყველაფერზე, ოღონდ, შვილები გადაგვირჩინეთ“, – დაკავებულების ჩვენება გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს.

გამომძიებელმა გაიხსენა, რომ აგარაკზე, კონიაკის ორი ბოთლი ნახა, ერთი – სავსე და მეორე – ცარიელი ანუ ორმა ადამიანმა ერთი ბოთლი კონიაკი დალია და ისე დათვრნენ, არ ახსოვდათ, რა ჩაიდინეს. ორივე ბოთლი სასწრაფოდ ექსპერტიზაზე წაიღეს და როგორც ერთ, ისე მეორე ბოთლში, ძლიერი საძილე საშუალება იყო გარეული ანუ ვიღაცამ ეს იმისთვის გააკეთა, რომ კაცებს დასძინებოდათ, შემდეგ კი დაეჯერებინათ, რომ მკვლელობა თავად ჩაიდინეს. არადა, არცერთი დაკავებული ცოცხალი თავით არ ამბობდა, ვინ ურჩიათ აგარაკზე წაყვანა და რაც მთავარია, ვინ უთხრათ, რომ იმ დღეს, ექიმს ფული ექნებოდა. დაკავებულები დაკითხვაზე ერთად აიყვანეს და ექსპერტიზის შედეგები გააცნეს, მერე აუხსნეს, რომ ისინი ვიღაცამ გამოიყენა და სწორედ ის ვიღაცა იყო, ვინც მათ მართავდა.

მამებმა ერთმანეთს გადახედეს, უხმოდ შეთანხმდნენ და ხელი ინფექციური საავადმყოფოს ერთ-ერთ ექთანს დაადეს. ერთ საათში, ექთანი დაკითხვაზე იჯდა. თავიდან ყველაფერს უარყოფდა, მაგრამ შემდეგ, როცა ბავშვების არა მარტო მამები, არამედ, დედებიც პირზე დაადგნენ, ჩვენების მიცემა დაიწყო.

„მე და მთავარი ექიმი საყვარლები ვიყავით, ცოლად მოყვანას მპირდებოდა. როცა დავორსულდი, ხელი ამიქნია, ცოლის მოყვანას არ ვაპირებ და ბავშვს ალიმენტს გადავუხდიო. გავბრაზდი, მით უმეტეს, რომ მისი საქმიანობის შესახებ ყველაფერი ვიცოდი. ისიც ვიცოდი, რა თანხა „მოტეხა“ რემონტიდან და ეს უბედური შემთხვევაც დაემთხვა. დიახ, მე გავთვალე ყველაფერი, უბრალოდ, ბოთლების ნაღება ვეღარ მოვასწარი, ერთ-ერთს უკვე ეღვიძებოდა. არ მეგონა, თუ ასე შორს წახვიდოდით და ბოთლებს ექსპერტიზაზე წაიღებდით. ყველაფერი ჩემს შვილს უნდა რგებოდა და ასეც იქნება. ბავშვის გამო, ციხიდან მალე გამომიშვებენ“, – დაბეჯითებით საუბრობდა ექთანი, მაგრამ...

სასამართლოზე, ყველაფრის გათვალისწინებით, მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, თუმცა ექთნისთვის მნიშვნელობა აღარაფერს ჰქონდა – მას მუცელი ჯერ კიდევ იზოლატორში მოეშალა.

„სიკვდილის ღირსია!“ – რატომ გადაწყვიტა დედობილმა ორი ბავშვის ბიოლოგიური დედის მოკვლა

უცნაური ოჯახური დრამის დეტალები

ბათო ჯაფარიძე

ამნეზია – დაავადება, რომელიც თითქმის ყველასთვის კარგადაა ცნობილი. მეხსიერების სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა, რაც შესაძლებელია, დროთა განმავლობაში აღდგეს, ან არ აღდგეს. ადამიანები ამნეზიის მძიმე ფორმის დროს, არათუ ოჯახის წევრებს ვერ ცნობენ, არამედ, საკუთარი სახელი და გვარიც კი არ ახსოვთ. ამბავს, რომელსაც ახლა გიამბობთ, შეიძლება ითქვას, საქართველოში ანალოგი არ აქვს, რადგან მაშინ, როცა მოხდა, ამნეზია არ იყო ფართოდ გავრცელებული ტერმინი, პრაქტიკულად, ექიმებსაც მისი მკურნალობის საშუალება არ ჰქონდათ და უბრალოდ, ცდილობდნენ, ავადმყოფისთვის ყოფა შეემსუბუქებინათ.

80-იანი წლების გარიჟრაჟზე, მაშინ, როცა დედაქალაქში ძალიან ცოტა მანქანა მოძრაობდა, ავარია მოხდა. ავტომობილის საჭე მძღოლმა ვერ დაიმორჩილა, ტროტუარზე ავარდა და გაჩერებაზე მყოფი რვა ადამიანი ჰაერში აჰყარა. საბედნიეროდ, არავინ გარდაცვლილა, მოტეხილობები კი ყველას ჰქონდა. მძღოლი დააკავეს, ის იმ დროისთვის უჩვეულოდ ნასვამი აღმოჩნდა, საქმე საგამოძიებო უწყებას გადასცეს და თითქოს, ყველაფერი მარტივად უნდა დასრულებულიყო, მაგრამ...

„დაშავებულთა შორის იყო 35-37 წლამდე ქალი, რომელიც ყველაზე მძიმედ გახლდათ. მას თავის ტრავმა ჰქონდა, თუმცა ექიმებმა ივაჟკაცეს და გამოაჯანმრთელეს. ერთი ეგ იყო, ქალს თან საბუთი არ ჰქონდა და როცა აზრზე მოვიდა, საკუთარი სახელიც კი ვერ გაიხსენა, არათუ ის, სად ცხოვრობდა და ვინ იყვნენ მისი ოჯახის წევრები. ისინი ჩვენ უნდა გვეპოვნა, მაგრამ როგორ? დაკარგულს არავინ ეძებდა, მაშინ არც კომპიუტერები იყო, არც – სოციალური ქსელები, ერთადერთი, რაც შეგვეძლო, ჩვენს კარტოთეკაში გადავამოწმეთ, მაგრამ უშედეგოდ“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

დეტალური კვლევის შემდეგ, ექიმებმა დაბეჯითებით თქვეს – ქალმა იმშობიარა და ეს ორჯერ გააკეთა ანუ შვილები ჰყავს და უმცროსის ასაკი 7 წელზე ნაკლები არ უნდა იყოსო. გამოდიოდა, რომ ქალს ოჯახი ჰყავდა, მაგრამ დედას, ცოლს, შვილს... არავინ ეძებდა. სამართალდამცავებმა ამოაბრუნეს ყველა არქივი, ქალს დაუძახეს ყველა სახელი, რაც გაახსენდათ, ეგებ, რომელიმეზე რეაგირება ჰქონდესო, მაგრამ ამაოდ. მეტიც, ოპერმუშაკმა გოგონებმა, გამოჯანმრთელების შემდეგ, ქალს, ლამის, მთელი თბილისი მოატარეს, ჰყავდათ ყველა კინოთეატრში, საამქროებში, მაგრამ ვერც ის იხსენებდა ვერაფერს და ქუჩაშიც შემთხვევითობის ალბათობის დაშვებით, ის არავის უცვნია, არავინ მისალმებია. ქალმა არ იცოდა, რა პროფესიის იყო, არ იცოდა საერთოდ არაფერი.

ძალოვნებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოითხოვეს ინფორმაცია უგზო-უკვლოდ დაკარგულ ქალბატონებზე, მაგრამ შედეგი არც ამან მოიტანა. სხვა გზა არ იყო, სახელმწიფომ მას საერთო საცხოვრებელში გამოუყო ადგილი და დახმარებაც დაუნიშნა. პარალელურად, ის ერთ-ერთ ტექნიკუმში ჩარიცხეს, რათა რამე ხელობა ესწავლა, მომავალში თავი რომ ერჩინა და ახალი ცხოვრება დაეწყო.

„დაზარალებულს ახალი საბუთები გავუკეთეთ, ახალი სახელითა და გვარით, სწავლასაც მუყაითად შეუდგა, სამკერვალო საქმეს მოჰკიდა ხელი და არცთუ ურიგოდ გამოსდიოდა. ჩვენი განყოფილების გოგოებსაც დაუმეგობრდა და მათთან ერთად, დროს მხიარულად ატარებდა. ექვსი თვის შემდეგ, მუშაობაც დაიწყო, საერთო საცხოვრებლიდანაც წამოვიდა, ბინა იქირავა და ჩვენ თანამშრომელ მანდილოსნებს კაბებს ხშირად უკერავდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მომხდარიდან წელიწადზე მეტი იყო გასული, როცა განყოფილებაში ერთ-ერთ თანამშრომელ ქალს დაზარალებულმა დაურეკა, იმან, ამნეზია რომ ჰქონდა და აღელვებული ხმით უთხრა, მგონი, ვიღაც ვიცანი, დღეს საღამოს ჩემთან მოდით და მოგიყვებით, მანამდე რაღაცები უნდა გავარკვიოო. ამ ამბავმა ყველა გაახარა, საღამოს სამართალდამცავი გოგონები მეგობრის სახლში მივიდნენ, კარი გაღებული დახვდათ, ოთახში შევიდნენ და გაშეშდნენ – მათი მეგობარი სისხლში ცურავდა, სისხლიანი დანა კი იატაკზე ეგდო. სასწრაფო დახმარების მანქანის ლოდინის დრო აღარ იყო, გოგონებმა დაჭრილი ხელში აიყვანეს, ეზოში მეზობლის მანქანაში ჩააწვინეს და უახლოეს საავადმყოფოში გააქანეს. მათ მხოლოდ მაშინ ამოისუნთქეს, როცა ექიმმა თქვა – „გადარჩება!“

რა თქმა უნდა, მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გაირკვა ისიც, რომ დაჭრილმა განყოფილებაში ერთ-ერთ მეტროსთან მდებარე ქუჩის აპარატიდან დარეკა, მეზობლების დაკითხვის შედეგად კი აღმოჩნდა, რომ დაჭრილი ტელეფონზე დარეკვიდან, დაახლოებით, ერთ საათში, შინ ვიღაც ქალთან ერთად დაბრუნდა, შემდეგ ის ქალი სადარბაზოდან გამოვიდა და მერე უკვე ადგილზე, დაჭრილი ქალის სამართალდამცავი მეგობრებიც მივიდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მკვლელობის მცდელობა, სწორედ იმ უცხო ქალმა ჩაიდინა, რომლის სახის დეტალური აღწერა და ფოტორობოტის შექმნა მეზობლებმა ვერ მოახერხეს, თუმცა ექიმები ირწმუნებონენ, სამ დღეში, დაჭრილი საუბარს აუცილებლად შეძლებსო. სამი დღეც გავიდა...

„მეტროში ჩემი ყურადღება ერთმა ოჯახმა მიიპყრო. ორი ბავშვი ახლდათ, ასე, 8-10 წლის იქნებოდნენ. თითქოს, კაცი უფრო მეცნო, ვიდრე ბავშვები და ქალი. ადრეც, რამდენჯერმე, თითქოს მეცნო რამდენიმე ადამიანი, მივედი, გამოველაპარაკე, უშედეგოდ... უხერხული სიტუაცია იქმნებოდა ხოლმე. ამიტომ, გადავწყვიტე ამ ოჯახს გავყოლოდი, შინ ხომ წავიდოდნენ და იქნებ, კორპუსიც ნაცნობი ყოფილიყო, თუმცა მეტროდან ამოსვლის შემდეგ, გზა გადაჭრეს, კაცი და ბავშვები მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ, ქალი კი იქ დარჩა და მასთან მივედი, გამოველაპარაკე. ავუხსენი, რაც მჭირდა, ვუთხარი, მგონი, თქვენი ქმარი მეცნო-მეთქი და დამაკვირდა, ასე მგონია, იმანაც მიცნო, მაგრამ არ შეიმჩნია. ამიტომ, შინ დავპატიჟე იმის იმედად, რომ ეგებ, რამე წამოსცდეს-მეთქი. მეტროდან რომ გამოვედით, განყოფილებაში მაშინ დავრეკე, ამიტომ მანქანის ნომერი არ დამინახავს, მოშორებით იდგა. ისე კი, თეთრი ფერის ავტომობილი იყო, ოღონდ, „მოსკვიჩი“ არა, მაგ მანქანას ვცნობ. ჰოდა, სახლში ჩაის მოდუღება გადავწყვიტე, იმ ქალმა, მოგეხმარებიო, უჯრა გამოაღო, დანა ამოიღო და მერე აღარაფერი მახსოვს“, – სულ ეს იყო, რაც დაჭრილმა თქვა.

სამართალდამცავებისთვის ნათელი იყო, რომ ქალმა ქალი იცნო, ისიც ცხადი გახდა, ვინ მოიქნია დანა, მაგრამ რატომ? რაც მთავარია, ძალოვნებს ერთი დიდი თავის ტკივილი გაუჩნდათ – თეთრი ავტომობილი, „01“, „06“ ან „011“ იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ უნდა შეემოწმებინათ ყველა თეთრი ავტომობილის მფლობელი, მაგრამ თბილისში რეგისტრირებული მანქანა რომ არ ყოფილიყო? მაშინ, მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა ეძებნათ, მაგრამ ვინ?

„გადავწყვიტეთ, გაგვერისკა და მოგვეძებნა თეთრი ფერის ავტომობილის ისეთი მფლობელი, რომელსაც ორი შვილი ჰყავდა, ბიჭი და გოგონა. ეს არეალს საკმაოდ შეამცირებდა, თანაც ბავშვების მიახლოებითი ასაკიც ვიცოდით და უკვე ერთი კვირის შემდეგ, ასეთი პირი ვიპოვეთ. მან ყურადღება იმით მიიქცია, რომ მეორე მეუღლე ჰყავდა და როცა ის შეირთო, უკვე ორი შვილის მამა იყო ანუ ეს ბავშვები ქალის გერები იყვნენ. მოვიპოვეთ ქალის სურათი და ჩვენს დაზარალებულს ვანახეთ. გარდა იმისა, რომ მან მაშინვე ამოიცნო, ჩვენ უკვე ვიცოდით, სინამდვილეში, რა ერქვა ჩვენს დაზარალებულს – ის ჩვენთვის საინტერესო მამაკაცის პირველი ცოლი და ბავშვების დედა იყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

დაჭრაში ეჭვმიტანილი ქალი დააკავეს, მისი ქმარი კი დაკითხვაზე დაიბარეს. როცა მას ყოფილი ცოლის სურათი დაუდეს, უემოციოდ დახედა და დაადასტურა, რომ ის მისი შვილების დედა იყო, მაგრამ ვერაფრით ხვდებოდა, რა უნდოდა თავად მას მილიციის განყოფილებაში.

„შვილები 2 და 3 წლის იყვნენ, როცა ამ ქალბატონმა სახლიდან წასვლა გადაწყვიტა. ვიღაცას გაჰყვა ცოლად სამეგრელოში და ბავშვები მე შემატოვა. შემდეგ ჩემი ამჟამინდელი მეუღლე გავიცანი. მას ბავშვობაში ტრავმა აქვს გადატანილი, მუცლის ღრუში რკინის მილი შეერჭო და საშვილოსნო მაშინ ამოაჭრეს, შვილი არასდროს ეყოლებოდა. თავად მითხრა, ცოლად თუ მომიყვან, შენს შვილებს საკუთარივით გავზრდიო. მოვიყვანე და უბედნიერესი კაცი ვარ. ბავშვებმა არ იციან, რომ ის მათი ნამდვილი დედა არაა, მართლა თან ჰყვება შვილებს და პირველი ცოლის არსებობა დამავიწყდა კიდეც, წლებია, შვილები არ მოუკითხავს“, – განაცხადა კაცმა.

„ეს ჩემი ოჯახია, ჩემი შვილები. როცა იმ ქალმა გამაჩერა ქუჩაში, გვიან, მაგრამ მაინც ვიცანი. ჩავთვალე, რომ ჩემთვის ყველაფრის წართმევას მოინდომებდა, ამიტომ გავიმეტე სასიკვდილოდ. ახლაც ამ აზრზე ვარ, რომ დედა, რომელიც ორ შვილს მიატოვებს, სიკვდილის ღირსია“, – მოკლედ მოჭრა ეჭვმიტანილმა.

როცა დაზარალებულს ყველაფერს მოუყვნენ, ნამდვილი ისტერიკა დაემართა, შვილებს არ მივატოვებდიო. ნახეს კაციც, რომელსაც ის ცოლად გაჰყვა, მაგრამ იქ შვილი არ ეყოლა. გაირკვა, რომ იმ საბედისწერო დღეს, როცა ქალი ავარიაში მოჰყვა, მან მეორე ქმართან იჩხუბა და თბილისში ნათესავთან მოდიოდა რამდენიმე დღით დასარჩენად. მეორე ქმარმა კი ჩათვალა, რომ ქალმა ზუსტად ისე მიატოვა, როგორც თავის დროზე, პირველი ოჯახი და აღარც მოუძებნია.

სასამართლომ დაჭრაში ეჭვმიტანილს სასჯელის ზომად 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, თუმცა 6 თვეში განაჩენი გადაიხედა და ის გაათავისუფლეს. ქალი ოჯახს დაუბრუნდა, მაგრამ ოჯახი უკვე მთლიანად სასამართლო საქმეებით იყო დაკავებული და მშვიდად აღარ ცხოვრობდა. დედა შვილებზე უფლების დაბრუნებას ითხოვდა და როცა ქვედა ინსტანციაში უარი მიიღო, ზემდგომში გაასაჩივრა.

ბათო ჯაფარიძე

კომუნისტების დროს, საბჭოთა ჯარის ნაწილები, პრაქტიკულად, ყველა რესპუბლიკის დიდ ქალაქებში იყვნენ განლაგებულნი. ეს იმას არ ნიშნავდა, რომ მაგალითად, ქართველი წვევამდელები სავალდებულო სამსახურს სამშობლოში მოიხდიდნენ, უფრო პირიქით – სხვადასხვა რესპუბლიკის მცხოვრებლებს სხვადასხვა ქვეყანაში ერეკებოდნენ. ძალიან იშვიათად ხდებოდა, რომ მაგალითად, ქართველს – საქართველოში, აზერბაიჯანელს – აზერბაიჯანში, სომეხს კი სომხეთში ემსახურა...

სამხედრო ნაწილის მზარეული სასიკვდილოდ მოწამლეს

რა ჩვენება მისცა ნაწილის უფროსის დამ გამოძიებას და რატომ მოიცილა თავიდან მზარეული

ჯარის ნაწილი არ იყო მხოლოდ მკაცრად დაცული ობიექტი. ეს იყო მთელი ინფრასტრუქტურა – მომარაგებით, კვებით ანუ პატარა ქალაქი ქალაქში. ყველაფერთან ერთად, საბჭოთა კავშირი ჯარისკაცების ძალასაც ჯეროვნად იყენებდა, შედეგად, „სტროი-ბატალიონები“ აშენებდნენ კორპუსებს, ქარხნებს... სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელებად, ძირითადად, რუსი ოფიცრები ინიშნებოდნენ და ეს სუფთა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. ჯარისკაცს არ ჰქონდა უფლება, ნაწილის მეთაურის ნებისმიერი ბრძანება არ შეესრულებინა და ამიტომ, ვიღაცის ხელში, 3 ათასი შეიარაღებული ბიჭის ყოლა სარისკო გახლდათ. შიში იმისა, რომ შეიძლებოდა, რომელიმე რესპუბლიკას დამოუკიდებლობისთვის ნებისმიერ დროს გაებრძოლა, მუდმივად არსებობდა. ნაწილის ხელმძღვანელები ცოტა ჯამაგირს არ იღებდნენ, დამატებითი შემოსავალიც ჰქონდათ, თუნდაც ჯარისთვის განკუთვნილი საკვები პროდუქტების ნაწილის გასხვისებით, ან სამხედრო ტექნიკის გაქირავებით ანუ ისინი საჭირო ადამიანები იყვნენ და მათთან მეგობრობა ყველას სჭირდებოდა.

„ერთ-ერთი ასეთი ნაწილის უფროსთან მეც ვმეგობრობდი, არ იყო ცუდი კაცი. ჰოდა, შემიჩნდა, კარგი მზარეული მაპოვნინე, ახლა ვინც მყავს, სალაფავს ამზადებსო. აბა, მე მზარეული სად უნდა მეშოვნა და ერთ დღესაც გამომიცხადა, დღეს ჩამოდის ჩემი მზარეული, რამდენიმე ნაწილში, რუსეთში მსახურობდა, ოქროს ხელები ჰქონია, იქაურმა გენერალმა მიპოვნა და მაჩუქაო. ბავშვივით უხაროდა და მეც წარმატებები ვუსურვე. საღამოს კი“... – პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი იმ ისტორიას გვიყვება, რომელსაც გრიფით „საიდუმლო“ ედო.

იმავე საღამოს, გამომძიებელს ნაწილის უფროსი შინ მიადგა და ლამის, ბოლო ხმაზე ბღაოდა – „მიშველე, თენგო, მიშველე, მზარეული მომიკლეს“...

გამომძიებელმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ნაწილში მას არავინ შეუშვებდა, მაგრამ მეთაურს მოსკოვში, ნაცნობ გენერალთან უკვე დარეკილი ჰქონდა. შესაბამისად, იქიდან აქ არავინ ჩამოვიდოდა და ყველაფერი შსს-სა და სამხედრო პროკურატურას უნდა შეესწავლა. გენერლის საშუალებით, ნაწილის ხელმძღვანელმა იმდენი მოახერხა, რომ საგამოძიებო ჯგუფში, სწორედ ბატონი თენგიზი ჩართო და ყველაზე მეტადაც, სწორედ მისი ეიმედებოდა.

და მაინც, რა მოხდა და ვინ გაიმეტა მზარეული სასიკვდილოდ, რომელმაც ნაწილში სულ 4 საათი გაატარა? ქალი აეროპორტიდან ნაწილში სამხედრო მანქანით მიიყვანეს, გაიარა სავალდებულო სამედიცინო შემოწმება, გაიკეთა შესაბამისი აცრა, შევიდა სამზარეულოში, უკვე გამზადებული „ბორშჩიდან“ ერთი კოვზი მოსვა და... უსულოდ დაეცა. რა თქმა უნდა, „ბორშჩიცა“ და კოვზიც ანალიზზე წაიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, გამოძიება გაკვირვებული დარჩა – არც კოვზზე და არც „ბორშჩში“ მომწამვლელი ნივთიერება ვერ აღმოაჩინეს. ახლა საინტერესო ის იყო, რას იტყოდა ექსპერტიზა გვამის გაკვეთის შემდეგ.

„ვხვდებოდი, რომ ძალიან ჩახლართული საქმე იყო. ჩემს მეგობარს ვუთხარი კიდეც, თუ რუსეთიდან გამოთხოვილ მასალებზე უარს მეტყვიან, საქმეს შევეშვები-მეთქი და მან ისევ გენერალს დაურეკა. ამ მიმართულებით, პრობლემა მოხსნილი იყო და დარწმუნებული გახლდით, რომ დანაშაულის მიზეზი ქალის წარსულში უნდა მეძებნა, რადგან გამორიცხული იყო, აეროპორტიდან ნაწილამდე და შემდეგ ნაწილში, ვინმე ისე გაებრაზებინა, მოსაკლავად გაემეტებინა. გვამური ლაქები კი იმაზე მიანიშნებდა, რომ ქალი მოწამლეს, მაგრამ ვინ და რატომ?!“-გვიყვება ბატონი თენგიზი.

ექსპერტმა რამდენიმე დასკვნა დადო. ქალს ქვედა კიდურებზე სერიოზული დამწვრობა ჰქონდა, თუმცა დაახლოებით, ნახევარი წლის წინანდელი. ექსპერტთა ვარაუდით, მას ფეხებზე მდუღარე გადაესხა.

რაც შეეხება გარდაცვალების მიზეზს, მზარეული დიაბეტით იყო დაავადებული და ინსულინის საჭირო დოზა მუდმივად თან ჰქონდა. მის სხეულში კი შეიყვანეს წამალი, რომელიც ინსულინთან რეაქციაში შევიდოდა და ფატალურ შედეგს გამოიწვევდა ანუ თუ ქალს შაქარი აუწევდა და ინსულინს გაიკეთებდა, ყველაზე კარგ ვარიანტში, სიკვდილი 10-15 წუთში დადგებოდა. სამზარეულოში დაადასტურეს, რომ ინსულინი გაიკეთა, შემდეგ დამხმარეებს მითითებები მისცა, „ბორშჩი“ გასინჯა და როგორც ჩანს, ეს მომენტი ინსულინისა და სხვა პრეპარატის რეაქციაში შესვლას, უბრალოდ, დაემთხვა.

ახლა, მთავარი იმის გარკვევა იყო, ვინ გაუკეთა სხვა პრეპარატის დოზა და ვინ ერკვეოდა ასე კარგად მედიცინაში, რომ ეს ორი წამალი ერთმანეთს დაუკავშირა?!

„მაშინვე გამახსენდა, რომ სამზარეულოში შესვლამდე, გარდაცვლილს სრული სამედიცინო შემოწმება გაატარეს, ეს პროტოკოლით მკაცრად იყო გაწერილი და შესაბამისი აცრებიც ჩაუტარეს. ნაწილის ჰოსპიტალში სულ რამდენიმე მედდა და ექიმი მსახურობდა. პასუხისმგებლობა ძირითადად ორ მათგანს ჰქონდა აღებული საკუთარ თავზე და ამ ორიდან ერთი – ნაწილის უფროსის და იყო, მეორე – ცოლი. ამიტომ, ნაწილის უფროსს ვთხოვე, რომ მათი დაკითხვის ნება მოეცა“, – ამბობს ბატონი თენგიზი.

ორივემ კატეგორიულად უარყო მედიკამენტებს შორის დასახელებული პრეპარატის არსებობა და რაც მთავარია, ცოლს ალიბი ჰქონდა – როცა მზარეული აეროპორტიდან ნაწილში მოჰყავდათ, ის თავბრუსხვევამ შეაწუხა, ამიტომ თავის საცხოვრებელ ოთახში ავიდა, წნევა გაიზომა და მასთან ერთად, ერთ-ერთი მედდა და ჯარისკაცი იმყოფებოდა, რათა საჭიროების შემთხვევაში, საავადმყოფოში გადაეყვანათ. ნაწილის უფროსი ცოლზე გიჟდებოდა, ამიტომ მას გადამეტებულ ყურადღებას აქცევდა.

რაც შეეხება დას, მან დაადასტურა, რომ მზარეულს აცრა თავად გაუკეთა, გვამზე აჩვენა ის ადგილი, სადაც ნემსი გააკეთა და ექსპერტიზამაც დაადასტურა, რომ ამ შემთხვევაში, ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ გვამს მეორე მკლავზეც ჰქონდა ნაჩხვლეტი ანუ იქ, სადაც მომაკვდინებელი სითხე შეუშვეს. ნაწილის უფროსის დამ მხრები აიჩეჩა, მე ნემსი რომ გავაკეთე, ოთახიდან გამოვედი, პაციენტი მარტო დავტოვე, შესაძლოა, ვინმე შევიდაო. ჩხრეკამ არაფერი მოიტანა და ახლა გამოძიება რუსეთიდან გამოგზავნილი მასალების იმედად იყო. ჰო, რაც მთავარია, ყველა ამბობდა, რომ მზარეულს პირველად ხედავდნენ და იმის მიუხედავად, რომ თითოეულ მათგანს სხვადასხვა ნაწილში მუშაობის გამოცდილება ჰქონდა, ისინი მზარეულთან არასდროს გადაკვეთილან. ვიღაც აშკარად ტყუოდა და გამომძიებლებს სწორედ ეს ვიღაც უნდა ეპოვათ. ამიტომ, მომსახურე პერსონალის პირადი საქმის შესწავლაც დაიწყეს და თან მოსკოვიდან საბუთებს ელოდნენ.

„მესამე დღეს, რუსეთიდან გამოგზავნილი საბუთები აღარ მჭირდებოდა. გარდაცვლილს პირადი საქმე თან ჰქონდა, სადაც გარკვევით ეწერა, რომ ის ერთ-ერთ ნაწილში, სწორედ იმ დროს მუშაობდა მზარეულად, როცა იმავე ნაწილში, მედდებად... თბილისური გარნიზონის ამჟამინდელი უფროსის ცოლი და და მუშაობდნენ, თუმცა ნაწილის უფროსი მაშინ დაქორწინებული არ იყო და საერთოდ, სხვა მხარეს მსახურობდა ანუ რეალურად, ის მზარეულს არ იცნობდა, თუმცა ქალებს რომ ერთმანეთი არ სცნობოდათ, გამორიცხული იყო. შესაბამისად, მთავარი ეჭვმიტანილები ჩემი მეგობრის და და ცოლი გახდნენ. რა უნდა მექნა, დის დაკითხვა განმეორებით გადავწყვიტე“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

„დიახ! მე მოვკალი და ჩემი ძმის ოჯახი გადავარჩინე. როცა ერთად ვმსახურობდით, ჩემი ძმა სხვა ნაწილში იყო, ლოთობდა, დაკარგული კაცი იყო, არადა, ნიჭიერი სამხედრო. ჩემს მომავალ რძალს ძალიან დავუახლოვდი, ვუთხარი, ჩემს ძმას უნდა გაგაყოლო ცოლად, შენ უნდა გამოასწორო და გადაარჩინო-მეთქი. ერთ დღეს, ჯარისკაცებმა მოახერხეს და ჩემს მომავალ სარძლოს დასაძინებელი დაალევინეს, მას ჩაეძინა და ახლაც არ ვიცი, რამდენმა ჯარისკაცმა ისარგებლა მისი უმწეო მდგომარეობით. მაშინ 12 ჯარისკაცი ჩასვეს ციხეში. ამის მიუხედავად, ჩემს ძმას გავაცანი და მათ საოცარი ოჯახი შექმნეს. ძმა ლოთობას გადაეჩვია და კარიერული აღმასვლაც დაიწყო. ეს ისტორია მზარეულმა იცოდა, ორჯერ გამოგვძალა ფული, გვემუქრებოდა, ყველაფერს ქმარს მოვუყვებიო. ჩემი ძმა სხვანაირად ამაყია, თუ არ დაშორდებოდა, აუცილებლად გალოთდებოდა. როცა აქეთ წამოვედით, დავისვენეთ და უცებ გავიგეთ, რომ მზარეულად ეს მოდიოდა. საიდანღაც გაუგია, აქეთ რომ ვიყავით და ყველაფერი გააკეთა, რომ თვითონაც წამოსულიყო. ფეხები დამწვარი რატომ აქვს, კარგად მოიკითხეთ, ბოლოს სადაც მსახურობდა, იქაც გრძელი ენის გამო დასაჯეს და მდუღარე „ბორშჩი“ ფეხებზე მისმა დამხმარე ქალმა გადაასხა. იმ დღეს ორი აცრა გავუკეთე, ქიმია ჩემი მეორე სპეციალობაა და ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი“, – დასრულა ქალმა მოყოლა.

ქართველი გამომძიებლის პატაკის შემდეგ, ნაწილის უფროსი, მისი ცოლი და და, სასწრაფო წესით, მოსკოვში გაიწვიეს. როგორც მერე თქვეს, სადღაც მივარდნილ მხარეში გაუშვეს სამსახურის მოსახდელად და ამაშიც გენერალი დაეხმარა. მოსკოვიდან მოსულ დოკუმენტებში კი გარდაცვლილის დამწვრობის მიზეზად, მასსა და მის დამხმარეს შორის მომხდარი „გაუგებრობა“ სახელდებოდა.

შინაგან საქმეთა მინისტრი პოლიციელთა და მეხანძრეთა მსოფლიო ოლიმპიადაში გამარჯვებულ ქართველ სამართალდამცველებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური „პოლიციელთა და მეხანძრეთა მსოფლიო ოლიმპიური თამაშები – 2022“-ში გამარჯვებულ თანამშრომლებს შეხვდა. ვახტანგ გომელაურმა ოქროსმედალოსან სამართალდამცველებს წარმატებული ასპარეზობა პირადად მიულოცა და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

„პოლიციელთა და მეხანძრეთა მსოფლიო ოლიმპიური თამაშები – 2022“ სხვადასხვა ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების მონაწილეობით, ნიდერლანდების სამეფოში, ქალაქ როტერდამში გაიმართა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ოლიმპიადაზე 6 ოქროს მედალი მოიპოვეს და სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩემპიონები გახდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა თეიმურაზ კალანდაძემ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გურიის მთავარი სამმართველოს უფროსმა კობა კობახიძემ და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელმა ლევან გილიგაშვილმა ძალისმიერ წოლჭიმში, სხვადასხვა წონით კატეგორიაში, ოქროს მედლები მოიპოვეს.

პოლიციელთა და მეხანძრეთა მსოფლიო ოლიმპიადაზე, ძიუდოს სახეობაში გაიმარჯვა და ოქროსმედალოსანი გახდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი გიგა ბერიაშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოგისტიკის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი ადამურ არქანია კი მკლავჭიდში 2 ოქროს მედალს დაეუფლა.

„პოლიციელთა და მეხანძრეთა მსოფლიო ოლიმპიური თამაშები – 2022““-ში გამარჯვებული ქართველი სამართალდამცველები არაერთი საერთაშორისო სპორტული ასპარეზობის პრიზიორები არიან.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა შინდისში, 17 გმირის საფლავი გვირგვინით შეამკეს

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა – გიორგი ბუთხუზმა და ალექსანდრე დარახველიძემ, მთავრობის წევრებთან, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, შინდისში, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპული 17 გმირის საფლავი გვირგვინით შეამკეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს.

სოფელ შინდისში დაღუპული მებრძოლების სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი აღევლინა. გმირთა მემორიალთან, დაღუპულთა ოჯახის წევრებიც იმყოფებოდნენ.

შინდისის ბრძოლიდან 14 წელი გავიდა. 2008 წლის 11 აგვისტოს, რუსულ სამხედრო ნაწილთან უთანასწორო შეტაკების დროს, 17 ქართველი ჯარისკაცი გმირულად დაიღუპა.

ცეცხლსასროლი იარაღის მესაკუთრეებს, დროებითი მოწმობის საფუძველზე, ტირში ან სასროლეთში იარაღის გადატანის უფლება მიენიჭათ

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების თანახმად, იმ პირებს, რომლებსაც შენახვის უფლებით აქვთ რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი, დროებითი მოწმობის საფუძველზე, იარაღის ტირში ან სასროლეთში გადატანის უფლება მიენიჭათ. დაინტერესებული პირები შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში შეძლებენ დროებითი მოწმობის მიღებას, რომლის საფუძველზეც უფლება ექნებათ, იარაღი ტირში ან სასროლეთში გადაიტანონ და შენახვის ადგილზე დააბრუნონ, არაუმეტეს კვირაში ერთხელ.

ამ დრომდე, ტირში ან სასროლეთში იარაღის გადატანის შესაძლებლობა მოქმედი კანონმდებლობით არ არსებობდა, რაც იარაღის მესაკუთრეთა უკმაყოფილებას იწვევდა.

იარაღის დროებითი მოწმობით შესაძლებელი იქნება შენახვის უფლებით რეგისტრირებული არაუმეტეს ხუთი იარაღის გადატანა, ხოლო ტირის ან სასროლეთის მფლობელის თანხმობის შემთხვევაში – გადასატანი იარაღისთვის განკუთვნილი ვაზნების (ერთ იარაღზე, არაუმეტეს 50 ვაზნა) გადატანა ტირში ან სასროლეთში. იარაღის გადატანისას, პირმა თან უნდა იქონიოს იარაღის დროებით მოწმობა და იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა.

იარაღის დროებითი მოწმობის მისაღებად, მესაკუთრემ წერილობითი მოთხოვნით უნდა მიმართოს მომსახურების სააგენტოს. ტირში ან სასროლეთში იარაღის გადატანის მიზნით, იარაღის დროებითი მოწმობის საფასური წარმოადგენს ერთ ერთეულ იარაღზე – 30 ლარი, ერთდროულად ორ ერთეულ იარაღზე – 50 ლარი, ერთდროულად ორ ერთეულზე მეტ იარაღზე – 100 ლარი.

მომსახურების სააგენტო 3 სამუშაო დღის ვადაში გასცემს იარაღის დროებით მოწმობას, რომელშიც მითითებულია იარაღის ტირში ან სასროლეთში გადატანის და შენახვის ადგილზე დაბრუნების დროები.

ტირში ან სასროლეთში ვიზიტის დასრულების შემდეგ, ტირის ან სასროლეთის მესაკუთრე იარაღის დროებით მოწმობაში უთითებს ვიზიტის დასრულების დროს. იარაღის მესაკუთრე ვალდებულია, არაუგვიანეს მოწმობით განსაზღვრული დროისა, იარაღი და გამოუყენებელი ვაზნები დააბრუნოს შენახვის ადგილზე.

დროებითი მოწმობის გარეშე, იარაღის გადატანა ან გადატანის სხვა წესების დარღვევა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ამასთან, მომსახურების სააგენტო აქტიურად მუშაობს ელექტრონული პროგრამის შემუშავებაზე, რომელიც უახლოეს მომავალში ამოქმედდება და შესაძლებელი გახდება იარაღის დროებითი მოწმობის ელექტრონულად გაცემა, ასევე, იარაღის გადატანის ეფექტიანი მონიტორინგი.

აღსანიშნავია, რომ უკვე ამოქმედდა საქართველოს მთავრობის დადგენილება – „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის წესისა და დამატებითი სანებართვო პირობების დადგენის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 21 სექტემბრის №162 დადგენილების ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებებით, მნიშვნელოვნად გამარტივდა ღია ტიპის ტირების, სასროლეთისა და სასროლო-სანადირო სტენდის ფუნქციონირების მიზნით, შესაბამისი ნებართვის მიღების პირობები და პროცედურა.

მიღებული ცვლილებების თანახმად, დადგინდა ნებართვის მიღების უფრო მოქნილი და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული პირობები და პროცედურები.

ცვლილებებით გათვალისწინებულია ყველა ის მექანიზმი, რომელიც აუცილებელია პრევენციისა და უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების დასანერგად. შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო განაგრძობს უსაფრთხოების ნორმების უზრუნველყოფითა და მოქალაქეებისთვის მოქნილი მომსახურების მიწოდების მიზნით, სერვისების დახვეწას და გაუმჯობესებას.

კვარაცხელიამ დებიუტი გოლით და საგოლე გადაცემით აღნიშნა

იტალიის ჩემპიონატის პირველ ტურში ხვიჩა კვარაცხელიას დებიუტი შედგა. ვერონა-ნაპოლის დაპირისპირებაში სტუმართა გუნდის თავკაცმა ლუჩანო სპალეტიმ ქართველი შემტევი ძირითადში დააყენა და არც შემცდარა. „კვარამ“ გოლიც გაიტანა თავური დარტყმით, საგოლე გადაცემაც შეასრულა და „ნაპოლის“ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

„ხვიჩა კიდევ უფრო მოუმატებს. ის სწორედ იმისთვის მოვიყვანეთ აქ, რომ ის გააკეთოს, რაც დღეს მოახერხა. საოცარი ბიჭია და საოცარი ქვეყანა გაქვთ“, – ასე უპასუხა სპალეტიმ მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე მყოფი ქართველი ჟურნალისტის შეკითხვას.

სხვათა შორის, ინგლისურ არხზე, სადაც ამ მატჩის ტრანსლირება მიმდინარეობდა, ინგლისელი დიქტორი ჩვენებურს მუდმივად „კვარადონად“ მოიხსენიებდა.

1992 თუ 1940? – როდის გამოჩნდა პირველი ქართველი ტოპ-ხუთეულში

ინგლისი, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია – თანმიმდევრობა პირობითია, თუმცა ამ ქვეყნების ჩემპიონატები ევროპაში საუკეთესოდ ითვლება და ტოპ-ხუთეულად იწოდება. შესაბამისად, იქ თამაში ყველა ფეხბურთელისთვის არა მარტო პრესტიჟული, არამედ, შესაძლებლობების ახალი ეტაპია. გამორიცხულია, ამ ჩემპიონატების ნებისმიერ კლუბში თამაშობდე, მეტი შეგეძლოს და ისეთმა გრანდებმა ვერ შეგამჩნიონ, როგორებიც „რეალი“, „ბარსელონა“, „ბაიერნი“, „პსჟ“, „მანჩესტერი“, „ლივერპული“, „იუვენტუსი“ ან „მილანი“ არიან.

პირველად, ტოპ-ხუთეულის ჩემპიონატებში ქართველი ფეხბურთელი ზუსტად 30 წლის წინ, 1992 წლის 8 აგვისტოს გამოჩნდა – ფრანგული „ლე ავრის“ რიგებში, გია გურულმა ითამაშა. მერე დაიწყო, კარგადაც მიეწყო, მაგრამ ბოლოს, ქართველებს სულ უფრო უჭირდათ უძლიერეს ლიგებში ფეხის მოკიდება. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ გასული საუკუნის 40-იან წლებში, ისევ საფრანგეთში, „რედ სტარის“ ღირსებას ვინმე, ოთარ დონდუა იცავდა, თუმცა ის საფრანგეთის მოქალაქე იყო, პირველად კი ქართველი ფეხბურთელის გასწვრივ, ჩვენი დროშა, სწორედ გია გურულის დროს გამოისახა.

ეს ყველაფერი იმიტომ მოგიყევით, რომ ახალ სეზონს უდიდესი ინტერესითა და იმედით ველოდებით – უძლიერესთა შორის, თავის გამოჩენას ხვიჩა კვარაცხელია იტალიურ „ნაპოლიში“ შეეცდება, გიორგი მამარდაშვილი – ესპანურ „ვალენსიაში“, ლუკა ლოჩოშვილი და დაჩი ლორთქიფანიძე – იტალიურ „კრემონეზეში“ (ამ ორზე ქვემოთ ცალკე მოგითხრობთ). რაც მთავარია, არცერთი მათგანი უკანა პოზიციაზე ყოფნას არ აპირებს. მამარდაშვილი „ვალენსიას“ კარში მყარად ჩადგა და მთავარი კონკურენტი, ჰოლანდიის ნაკრების მეკარე, გუნდიდან გააქცია, კვარაცხელიასი კი მხოლოდ „ნაპოლის“ კი არა, მთელ იტალიას ეიმედება, ამ ბიჭის წყალობით, სერია A უფრო მიმზიდველი უნდა გახდეს და უფრო მეტი მაყურებელი შემოიკრიბოსო. ყველაფერი ეს, აუცილებლად უნდა აისახოს ეროვნულ ნაკრებზე და ვფიქრობთ, ახლა სწორედ ის თაობაა ეროვნულ გუნდში, რომელმაც ნანატრი ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპი უნდა გვაჩუქოს.

ლოჩოშვილს ლორთქიფანიძეც შეუერთდა

მოკრძალებული კლუბი „კრემონეზე“ იტალიის სერია A-ში წელს აღზევდა და ახალი სეზონისთვის ემზადება. რაღა თქმა უნდა, გუნდის მიზანი ამ სეზონში უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება იქნება და იმის გათვალისწინებით, რომ „კრემონეზე“ ფინანსურადაც ძლიერი არაა, აქცენტს ახალგაზრდა და პერსპექტიულ ფეხბურთელებზე აკეთებს.

ჰოდა, რაოდენ სასიხარულოა, რომ იტალიელებმა ზედ ახალი სეზონის სტარტზე, ავსტრიული „ვოლფსბერგერიდან“ ჩვენი ეროვნული ნაკრების მცველი, ლუკა ლოჩოშვილი დაიმატეს. როგორც იტალიური მედია წერს, ლოჩოშვილის სანაცვლოდ, „კრემონეზემ“ 1.6 მილიონი ევრო გადაიხადა, რაც ცოტა ნამდვილად არაა. უფრო სასიხარულო ის გახლავთ, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრე, „კრემონეზეს“ თავკაცმა 17-წლამდელთა ასაკობრივი კლუბის კაპიტანი დააწინაურა და ის დიდი გუნდის განაცხადში შეიყვანა. აი, „კრემონეზეს“ 17-წლამდელთა გუნდის კაპიტანი კი... დაჩი ლორთქიფანიძეა, ქართველი ფეხბურთელი, რომელიც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ღირსებასაც იცავს. იტალიური მედია წერს, დამაჯერებელი თამაშის გარდა, ლორთქიფანიძე ლიდერის თვისებებითაც გამოირჩევა, კაპიტნადაც ამიტომ იყო არჩეულიო და ღმერთმა ქნას, ეს ნაბიჯი მისი დიდი კარიერის დასაწყისი ყოფილიყოს.

რონალდუს თავზე ღრუბელი ჩამოწვა

იმ კლუბებს, რომლებსაც კრიშტიანუ რონალდუს დამატება არ სურთ, მადრიდის „რეალი“ და ტურინის „იუვენტუსი“ დაემატნენ. ტურინული კლუბის წარმომადგენელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ პორტუგალიელის დაბრუნებას არ აპირებს, ხოლო „რეალის“ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს პირდაპირ პრესკონფერენციაზე ჰკითხეს, განიხილავდა თუ არა ამ მოთამაშის დაბრუნების შესაძლებლობას.

„რონალდუ?! კი, მაგრამ, ის ხომ უკვე 38 წლის არის“, – მოკლედ მოჭრა პერესმა და საკითხი დახურა.

ყველაფრის მიუხედავად, გულშემატკივარი იმაში მაინც იყო ბოლომდე დარწმუნებული, რომ რონალდუს „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშის პრობლემა არ ექნებოდა, თუმცა ინგლისური კლუბის ახალმა თავკაცმა, ერიკ ტენ ჰაგმა, პრემიერლიგის ახალი სეზონის პირველ ტურში, რონალდუ სათადარიგოთა სკამზე დატოვა და მხოლოდ შეცვლაზე შეუშვა. შედეგად, „მანჩესტერმა“ საკუთარ მოედანზე „ბრაიტონთან“ 1:2 წააგო და როგორ გგონიათ, გულშემატკივარმა ტენ ჰაგს რა ურჩია? სწორია – რონალდუს ძირითადში დაბრუნება.

„ლორიენში“ დავითაშვილის ტრანსფერი ჩაიშალა

წესითა და რიგით, საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ბათუმის „დინამოს“ ნახევარმცველს, ზურიკო დავითაშვილს კარიერა ფრანგულ „ლორიენში“ უნდა გაეგრძელებინა, ფეხბურთელი საფრანგეთშიც ჩავიდა და... გარიგება არ შედგა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ფრანგულ კლუბებს შემადგენლობაში, მაქსიმუმ, 10 არაევროკავშირელი ფეხბურთელის ყოლის უფლება აქვთ და ეს კვოტა „ლორიენს“ შევსებული ჰქონდა. წესით, დავითაშვილს ბრაზილიელის ნაცვლად უნდა ჩარიცხულიყო გუნდში, მაგრამ კლუბმა ლათინოამერიკელი ლეგიონერის გასხვისება ვერ მოახერხა და შედეგად, ჩვენებური სამშობლოში დაბრუნდა.

ამის მიუხედავად, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სანამ სატრანსფერო ფანჯარა დაიხურება ანუ 1 სექტემბრამდე, დავითაშვილი ევროპაში აუცილებლად წავა. მისით არაერთი კლუბი დაინტერესდა, თუმცა არჩევანი საფრანგეთზე იმიტომ შეჩერდა, რომ ამ ქვეყნის ჩემპიონატი ევროპის ტოპ-საუკეთესო ხუთეულში შედის და შესაბამისად, სამომავლოდ, კარიერის გასაგრძელებლად უფრო კარგი ვარიანტი იყო. ასევე, დარწმუნებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ დავითაშვილი ბათუმურ კლუბში არ დაბრუნდება. კარგა ხანია, ორმხრივი შეთანხმება მიღწეულია და აჭარული კლუბი არ აპირებს ახალგაზრდა ფეხბურთელს კარიერის უკეთეს ჩემპიონატში გაგრძელებაში ხელი შეუშალოს.

რუსები შეტევაზე გადმოვიდნენ – საქართველო ტალანტებს გვართმევს

13 წლის პერსპექტიული მოციგურავე, ინგა გურგენიძე რუსების ერთ-ერთ მთავარ იმედად ითვლებოდა. შარშანდლამდე, ყაზანში დაბადებული და გაზრდილი ინგა დედის გვარზე იყო და ტურნირებზეც ინგა ნიკიტინას სახელით გამოდიოდა, ახლა კი გვარიც შეიცვალა და მოქალაქეობაც – ის საქართველოს სახელით იასპარეზებს. ყველაფერი ეს, რუსებს ძალიან არ მოეწონათ და იქაური მედია საქართველოს მიმართ კრიტიკამ წალეკა.

„როდემდე უნდა ვზარდოთ ტალანტები მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი შემდეგ საქართველომ წაგვართვას?! ასე იყო ელენე გედევანიშვილის შემთხვევაში, ასე მოხდა მორის ყვითელაშვილის შემთხვევაში, ქართველებმა წაგვართვეს გიორგი რევია და მარია კაზაკოვა, წაგვართვეს კარინა საფინა და ლუკა ბერულავა. ამ სპორტსმენებს საქართველოსთვის მედლები მოაქვთ და მათ ისტორიას წერენ, არადა, ისინი ჩვენ გავზარდეთ“, – წერენ რუსები.

ინგა გურგენიძე საქართველოს სახელით ასპარეზობას უკვე სექტემბერში დაიწყებს.

დაიწყო – უელსელი ლეგენდა სასამართლოს წინაშე წარსდგება

უელსის ფეხბურთის ისტორიაში, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშე, რაიან გიგზი სასამართლოს წინაშე წარსდგება. 2020 წლის მაისში, რაიანი დააპატიმრეს კიდეც, მას ბრალად მეგობარ გოგონაზე, ქეით გრენვილზე ძალადობა ედებოდა. წესით, გიგზისთვის მაშინ ხელები არ უნდა გადაეგრიხათ, რადგან მტკიცებულება პირდაპირი არ იყო და რაც მთავარია, რაიანი იმ პერიოდში უელსის ეროვნულ ნაკრებს თავკაცობდა, თუმცა... წლების წინ, გიგზის ძმის ცოლმა პრესას მილიონ ფუნტად გაუმხილა, რომ რაიანს მასთან სასიყვარულო ურთიერთობა მაშინ ჰქონდა, როცა ის მის ძმაზე ოფიციალურად იყო დაქორწინებული. გაფუჭებული რეპუტაციის გამო, გიგზი მარტივად დააკავეს, თუმცა გირაოს გადახდის შემდეგ გამოუშვეს. თუ მას ძალადობის ფაქტი დაუმტკიცდება, 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ელის. ისიც ითქვა, გიგზის ადვოკატებმა სარჩელის გამოტანის სანაცვლოდ, ქეითს 2 მილიონი გირვანქა შესთავაზეს, მაგრამ მან უარი თქვაო.

შეგახსენებთ, რომ გიგზმა მთელი კარიერა, 1990-დან 2014 წლამდე, „მანჩესტერ იუნაიტედში“ გაატარა, 672 შეხვედრაში 114 გოლი გაიტანა, 13-ჯერ პრემიერ-ლიგა, 2-ჯერ – ჩემპიონთა ლიგა, 4-ჯერ – ინგლისის ასოციაციის თასი მოიგო და „მანჩესტერის“ ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლება.

ფიცი გვწამს, დვორკოვიჩი გვაკვირვებს

როგორც სპორტის სხვა სახეობებში, რუს და ბელორუს მოჭადრაკეებს, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა აკრძალული აქვთ. იმის მიუხედავად, რომ ამის გამო, მოჭადრაკეებმა პროტესტი არაერთხელ გამოთქვეს, მსოფლიოს საერთაშორისო საჭადრაკო ორგანიზაცია FIDE შეუვალი გახლდათ. ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ...

გასულ კვირას, სწორედ FIDE-ს პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა. ბრძოლა ორ კანდიდატს შორის მიდიოდა – პრეზიდენტობა რუს არკადი დვორკოვიჩსა და უკრაინელ ანდრი ბარიშპოლეცს შორის მიდიოდა. საერთაშორისო ფედერაციის წევრ ქვეყნებს თითო ხმის უფლება ჰქონდათ და როგორ გგონიათ, ხმები როგორ გადანაწილდა? 157 ხმა – დვორკოვიჩს და 16 ხმა – ბარიშპოლეცს. შესაბამისად, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, სწორედ რუსი კანდიდატი გახლდათ და რაც მთავარია, არკადი დვორკოვიჩი მაშინ, როცა რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი იყო, ხოლო პრემიერი – ვლადიმირ პუტინი, პირველ ვიცე-პრემიერად მსახურობდა ანუ პუტინის მოადგილე იყო. ჰოდა, ნუ გაგიკვირდებათ, თუ საჭადრაკო ტურნირებში, მალე რუსი და ბელორუსი მოჭადრაკეებიც გამოჩნდნენ.

განსაცდელი

(ნამდვილი ამბავი)

ნინო ნოზაძე



იანვრის მზიანი დღე გათენდა. გამოძახებული ტაქსი დროზე მოვიდა და რკინიგზის სადგურზე წაგვიყვანა. როგორც ყოველთვის, ბაქანზე უამრავი ხალხი ირეოდა. მატარებელი ჩამოდგა, ყველამ ვაგონებს მიაშურა. უნდა ავღნიშნო, ეს იყო ძველი ვაგონებისაგან შეკოწიწებული გრძელი მატარებელი, რომელსაც ვაგონები დანიშნულებისამებრ ეხსნებოდა და ებმებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენც ვაგონს მივაშურეთ, შვილთან და ორ ნათესავ ქალთან ერთად ვიყავი. ჩემი შვილი და ერთი ნათესავი ქალი ჩემზე წინ ავიდნენ. უკან მეორე ნათესავი ქალი მომყვებოდა. მატარებლის კიბეზე ფეხი ავდგი, ხელი სახელურს მოვკიდე და უცებ ეგრეთ წოდებული მატარებლის ფართუკი თავზე დამეცა.

საშინელი ტკივილი ვიგრძენი, ნათესავმა ქალმა იკივლა, ეგონა, მოვკვდი.

ვაგონში შევედით, გატეხილი თავიდან სისხლი ღვრად მდიოდა. გავითიშე. როცა აზრზე მოვედი, პირველად კაპლის სუნი ვიგრძენი, მერე – საშინელი თავის ტკივილი. მატარებელი დაიძრა... ჩემმა ახლობლებმა გამცილებელს სთხოვეს, სასწრაფო დახმარება გამოეძახა. გვითხრეს, სასწრაფო რიონში დაგვხვდებაო, თუმცა რიონში არავინ დაგვხვდა. ჩემმა ნათესავმა ანამ გამცილებელს ლაპარაკი გაუბა.

– „ფართუკის“ სახელური რატომ იყო გახსნილი?

– ეს ჩემი ბრალი არ არის, ხალხი ერთმანეთს არ უფრთხილდება – თქვენს წინ ტომრებიანი ქალი ავიდა, მან აჰკრა სახელურს ხელი და გაიხსნა.

– თუ დაინახეთ სახელური გახსნილი იყო, რატომ არ ჩაკეტეთ, ეს ხომ თქვენი მოვალეობაა?

– მე ხალხი გავაფრთხილე, რომ ვაგონს არ „მისეოდა“...

– შეკითხვაზე არ მიპასუხეთ: თუ დაინახეთ, რომ გახსნილი იყო, რატომ არ დაიყვირეთ, სახელური გახსნილია, ხელი არ მოჰკიდოთო?

– არ დამინახავს, თუ გახსნილი იყო...

– ასეთი შემთხვევა სხვა დროსაც ყოფილა?

– ხო, ხდება ხოლმე.

– კარგად ყოფილა ჩვენი საქმე, თუ გამცილებლების დაუდევრობის გამო ადამიანებს თავები უსკდებათ. ყველაფერი თქვენი ბრალია, ამისათვის პასუხს აგებთ.

გამცილებელი ისტერიულად აკივლდა:

– რა, ეს მატარებელი დენიკინისდროინდელი და ჭუჭყიანი რომაა, ჩემი ბრალია? ნახეთ, როგორ გაწკრიალებულია ბათუმის შემადგენლობა. მგზავრები რატომ არ აპროტესტებთ?

– თქვენ თემა შეცვალეთ, – უთხრა ანამ და კუპეში დაბრუნდა.

ამასობაში მატარებელი ზესტაფონის სადგურში შევიდა, დაპირებული სასწრაფო დახმარებაც მოვიდა – ჭრილობა გამისუფთავეს და შემიხვიეს. ექიმს მოვთხოვე ჩემი მდგომარეობა წერილობით დაედასტურებია. აქტი უნდა შევადგინოთო, განაცხადა ექიმმა. რა აქტი, რის აქტი, – უყვირა მატარებლის უფროსმა და მთელი სასწრაფო დახმარების შემადგენლობა მატარებლიდან კინწისკვრით ჩაყარა.

ყველაფერი ორად მეჩვენებოდა. თავი დამიმძიმდა... გვერდით ნათესავი ქალი მაია მეჯდა, რაღაცებს მელაპარაკებოდა, მაგრამ ვერ ვიგებდი... გამაყუჩებელი დავლიე... ჩამეძინა.

როცა გავიღვიძე, მითხრეს, გორში ვართო. მატარებელი ელვის სისწრაფით მიჰქროდა. გონება მოვიკრიბე. ანას ვუთხარი, ამათ ეს არ უნდა შერჩეთ, პოლიციას შევატყობინებ-მეთქი, ისიც დამეთანხმა... ტელეფონი ავიღე, პატრულს დავურეკე და მომხდარის შესახებ ვაცნობე.

თბილისში, სადგურის ბაქანზე პატრული და სასწრაფო დახმარების მანქანა დაგვხვდა.სასწრაფოს ექიმმა ჭრილობა გასინჯა და მითხრა, „მიხეილის“ საავადმყოფოში უნდა გადაგიყვანოთ და ჭრილობა გავკეროთო, თუმცა შემდეგ საავადმყოფოში გადაყვანაზე უარი მითხრეს, რადგან არც ასორმოცდაათი ლარი მქონდა და არც – სადაზღვეო პოლისი. ავუხსენი, ბაბუა დავკრძალე და იქედან მოვდივარ, არ ვმუშაობ, რისი ფული მექნება-მეთქი, მაგრამ...

ამასობაში გამომძიებელიც მოვიდა და მითხრა:

– ქალბატონო, რას ითხოვთ?

– რკინიგზისაგან მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებას.

ასევე, მოვითხოვე, სისხლის სამართლის საქმე აღეძრათ. გამომძიებელმა იმთავითვე განაცხადა, ეს უბედური შემთხვევაა, გამოსაძიებელი არაფერიაო და ასეთი ისტორია მოგვიყვა: ერთი თვის წინ აზერბაიჯანის მოქალაქეს ბაქანზე ფეხი ორმოში ჩაუვარდა და მოიტეხა. რკინიგზას უჩივლა, რატომ იყო დაზიანებული ბაქანიო, მაგრამ რკინიგზის დეპარტამენტის იურისტებმა მითხრეს, არაფერს გადავუხდითო...

მოკლედ, გამომძიებელი მარწმუნებდა, რკინიგზის წინააღმდეგ ჩივილს აზრი არ აქვს, არაფერი გამოგივაო. ირგვლივ პოლიციელები მოგროვდნენ, ერთ-ერთმა ჩემს შვილს უთხრა.

– შენ, აქ რა გინდა?

– ეს დედაჩემია.

– მერე, რა ცხვირი ჩამოგიშვია?

– სასაცილოდ მაქვს საქმე?

– ისე, რამდენი წლის ხარ?

– თვრამეტის...

– ბიჭო, შენხელა რომ ვიყავი, ცოლ-შვილი მყავდა, კაცი ვიყავი. შენ კი ქალივით ტირი.

– შენი დედაც...

პოლიციელმა ლუკას ქეჩოში ხელი წაავლო და ყვირილი დაუწყო, მოგკლავო. მივვარდი, ბავშვი ხელიდან ვერ გამოვგლიჯე. გული წამივიდა. როცა გონზე მოვედი, სახლში ვიყავი.

მეუღლე, მეგობართან ერთად, პოლიციაში წავიდა და, ღამის სამი საათი იქნებოდა, როცა ლუკა შინ მოიყვანა. ბავშვს ადამიანის ფერი არ ედო, ერთიანად კანკალებდა, ტუჩები უთრთოდა.

– შვილო, გცემეს?

– არა, მეძინება, თავი დამანებე.

დილით საგამოძიებო განყოფილებაში წავედი. ჩემი დაჟინებული მოთხოვნით, დამკითხეს. ეს ფორმალობა დაახლოებით სამი საათი გაგრძელდა...

მეორე დღეს პოლიკლინიკაში წავედი და ჭრილობაზე ნაკერები დამადეს.

შემდეგ, სახელმწიფო სამედიცინო ექსპერტიზაზე მივედი. ჭრილობას დახედეს და ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება ჩამიწერეს. გული მერეოდა, ლაპარაკის თავიც არ მქონდა.

– რა, ნაკერები დაგადეს ქალი ფეხზე ვეღარ დგახარ და ესაა მსუბუქი დაზიანება? – აღშფოთდა მეზობელი, – ეს ქვეყანა მართლა ჩალითაა დახურული და არაფერი ეშველებაო.

ორი დღე ლუკა საწოლიდან არ ამდგარა, არც ხმას გვცემდა. ვუთხარი, თუ ასე გააგრძელებ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაგიყვან-მეთქი. მერე, კეთილი ინება, ადგა და გამოგვიცხადა.

– ინსტიტუტში აღარ ვივლი. მე საქართველოში არ ვიცხოვრებ. გერმანულის მასწავლებელი დამიქირავეთ. ბინა გავყიდოთ და გერმანიაში წავიდეთ!

მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთს გაოგნებულები ვუყურებდით.

– გია, ხომ ხედავ, ბავშვი რა მდგომარეობაშია. მასწავლებელი დავუქირაოთ. რამდენიმე დღეში გადაუვლის.

– კარგიო, დამთანხმდა გია.

ლუკა იმ დღიდან სახლიდან არ გასულა. გერმანულის მასწავლებელი შინ მოდიოდა. ჩემმა შვილმა გარესამყაროსთან კავშირი გაწყვიტა...

ნევროპათოლოგი ი გამოვიძახე, გამსინჯა და მითხრა, ტვინის შერყევა გაქვს, დაწექი, აქეთ-იქეთ ნუ დადიხარო. როცა ჩემი ამბავი მოვუყევი, მომიგო, გადარჩენილხარ. ერთი წლის წინ ეს „ფართუკი“ ხაშურში კაცს დაეცა და მოკლაო.

ათი დღე ვიწექი, ჩემი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. მერე, წავედი და თავზე ტომოგრამა გადავიღე. საფეთქელის ქაცვზე ბზარი აღმომაჩნდა. ექიმმა მითხრა, ეს ქაცვი რომ გატეხილიყო, მაშინვე მოკვდებოდი და სანამ ბზარი არ შეხორცდება ტკივილები, რა თქმა უნდა, გექნებაო. სამი თვე თავი მტკიოდა და საშინელ სისუსტეს ვგრძნობდი.

ერთხელაც, ტელეფონზე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის გამომძიებელი დამიკავშირდა, მეორე დღეს კი შინ მესტუმრა, რამდენიმე კითხვა დამისვა, რაღაც ფურცლები შეავსო და წავიდა. ერთ თვის შემდეგ დამირეკა და მითხრა, ქუთაისში ჩამოდით, აუცილებელია, რომ საოლქო-სამედიცინო ექსპერტიზა უნდა გაიაროთო. წავედი. ტომოგრამის პასუხი და ნერვოპათოლოგის დასკვნა წარვადგინე, თუმცა სამედიცინო ექსპერტიზამ ისევ ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება ჩამიწერა. რისთვის წავედი ქუთაისში? ტყუილად – ფული დავხარჯე, ვიჩხუბე, ვიყვირე, მაგრამ ვინ მომისმინა?

თვენახევრის შემდეგ ჩაატარეს ე.წ. ტექნიკური ექსპერტიზა – შვილთან ერთად მივედი, რკინიგზის დეპოში შევედი, ვხედავ ვაგონს, მაგრამ მაშინვე მივხვდი, ეს არ იყო ის ვაგონი, შეფერილობითაც განსხვავდებოდა. ხუთმა ექსპერტმა ვაგონს ე.წ. ექსპერტიზა ჩაუტარა. ერთ-ერთი მათგანი მოვიდა და მითხრა:

– ქალბატონო, პასუხი დადებითია.

– დედა, ეს სხვა ვაგონია, ის მწვანე იყო, არა, ვარდისფერი.

– ჰო, ვიცი შვილო.

თვალზე ცრემლი მომადგა და უკან გამოვბრუნდი, კამათს აზრი არ ჰქონდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, გამომძიებელმა დამირეკა და მკითხა:

– ქალბატონო მარინა, ტექნიკური ექსპერტიზით კმაყოფილი ხართ?

– დამცინით?

– არა, როგორ გეკადრებათ.

– იცით, რას გეტყვით, თქვენ სულელი ხომ არ გგონივართ? რკინიგზას კბილით იმიტომ იცავთ, რომ გადაგიხადეს!

– ამას როგორ დაამტკიცებთ?

– რა დამტკიცება უნდა, ყველაფერი ისედაც ნათელია. მრცხვენია, რომ ამ უსამართლო ქვეყანაში ვცხოვრობ! განათლებით იურისტი ვარ. თქვენ კი გამომძიებელი არ ხართ, მხოლოდ დაკვეთებს ასრულებთ. ეს უზნეობაა.

– ქალბატონო, მარინა, წესიერად ილაპარაკეთ.

– თვენ შეასრულეთ მოვალეობა, სირცხვილია მარიონეტობა.

ამ საუბრის შემდეგ შვიდი თვე გავიდა. არავინ შემომხმიანებია. არც მე შემიწუხებია თავი სასამართლოში სიარულით...

ლუკამ გერმანული ისწავლა... საქართველოდან წასვლა ვერ გადავაფიქრებინეთ... ბინა გავყიდეთ... სული მტკივა, მენანება ჩემი ქვეყნის დატოვება... მალე ავსტრიაში ვიქნებით. დავბრუნდები კი ოდესმე ჩემს მიწაზე?!

მარტივი ტესტი მკერდის კიბოს დასადგენად

სწავლულებმა სუნთქვის ტესტის აპარატი გამოიგონეს, რომელსაც მკერდის კიბოს დადგენა 10 წუთში შეუძლია. როგორც მკვლევარები ამბობენ, ტესტირება დღეს არსებული, საკმაოდ არაკომფორტული მამოგრაფიის ალტერნატივაა. ხელსაწყო, რომელსაც The BreathLink-ი უწოდეს, ამერიკულ კომპანიაში შექმნეს და ევროპაში უკვე გაყიდვაშია. მისი გამოყენება ძალიან მარტივია – პაციენტი აპარატში ჩაისუნთქავს და ხელსაწყო ჰაერით ივსება, რომელიც ქიმიკალიების (ქიმიური წარმოების პროდუქტები) დონეს აანალიზებს. თუ ქიმიკალიები მკერდის კიბოს არსებობას აჩვენებენ, კომპიუტერი ექიმს შედეგს აცნობებს. როგორც ხელსაწყოს ავტორები ამბობენ, მათი ქმნილება ისეთივე სიზუსტით მუშაობს, როგორც მამოგრაფიის მოწყობილობა. მკვლევართა განცხადებით, ვიდრე ეს პრაქტიკა დაინერგება, ან ვიდრე მკერდის კიბოს სკრინინგისთვის ერთადერთ ალტერნატივად გამოცხადდება, საჭიროა ჯერ კიდევ ბევრი გამოკვლევის ჩატარება და მუშაობა. მედიკოსების განცხადებით, ამ ეტაპზე, დაავადების აღმოჩენის სიზუსტე დაბალია.

ბრიტანელებს წყლის ეკონომიას სთხოვენ

ნისლიანი ალბიონის მცხოვრებლებს მოუწოდებენ, შხაპის მიღების დრო ერთი წუთით შეამცირონ, რათა წყლის დეფიციტს თავი აარიდონ. როგორც „სანდი თაიმსი“ წერს, ხელისუფლების გეგმის მიხედვით, დიდი ბრიტანეთის ყოველმა მცხოვრებმა, 2050 წლისთვის, წყლის მოხმარება დღეში 145 ლიტრიდან 110 ლიტრამდე უნდა შეამციროს. 30 ლიტრის ეკონომია 6-ჯერ ჩარეცხვაა უნიტაზში. როგორც გამოცემა წერს, წყლის გამოყენებაზე შეზღუდვა ბრიტანეთში, რეკორდული სიცხის გამო, შესაძლოა, 20 მილიონზე მეტ ადამიანს შეეხოს. ივლისში, ჰითროუს აეროპორტის სიახლოვეს, 40 გრადუსი ტემპერატურა დაფიქსირდა. შედეგად, მდინარე ტემზა თითქმის დაშრა და მისმა სათავემ ადგილი იცვალა.

ჰომეოპათია ჯანმრთელობას ვნებს

ჰომეოპათიური პრეპარატები, თავისი მოქმედებით არ განსხვავდებიან პლაცებოსგან და შესაძლოა, მან ორგანიზმს ზიანიც კი მიაყენოს. ამას მოწმობს ავსტრალიელი მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები. ექიმი-ჰომეოპათები ამბობენ, რომ მათი პრეპარატები შველის დაავადებათა ფართო სპექტრს – უბრალო გაციებიდან, ონკოლოგიით დამთავრებული. მკვლევარებმა შეამოწმეს ჰომეოპათიური პრეპარატების ზემოქმედება ასთმით, ართრიტით დაავადებულებში, ასევე, მათშიც, რომლენსაც უძილობა აწუხებთ, გაციებულ და გრიპის მქონე პაციენტებში, ქრონიკული დაღლილობისას, ეგზემას, ქოლერას, დამწვრობის, მალარიისა და ჰეროინზე დამოკიდებულების დროს. აღმოჩნდა, რომ არცერთ შემთხვევაში, ჰომეოპათიურ წამლებს დადებითი ეფექტი არ გამოუვლენიათ. საგულდაგულოდ შემუშავებულმა კვლევებმა და მონაწილეების საკმარისმა რაოდენობამ აჩვენა, რომ ჰომეოპათია პლაცებოზე მეტი არაფრითაა, – აღნიშნავენ სწავლულები. მათი თქმით, ადამიანები, რომლებიც კონვენციონალური მედიცინის ნაცვლად ჰომეოპათიას ირჩევენ, საკუთარ ჯანმრთელობას დიდი რისკის ქვეშ აყენებენ. ამ შემთხვევაში, პაციენტი უარს ამბობს მიიღოს, ან დაგვიანებით იღებს იმ წამლებს, რომელთა ეფექტიანობა და უსაფრთხოება უკვე დამტკიცებულია.

ვაკანსია ძილისგუდებისთვის

აშშ-ში, ნიუ-იორკში არსებული კომპანია Casper-ი, რომელიც მატრასების წარმოებითაა დაკავებული, ვაკანსიას აცხადებს. ის მაღალანაზღაურებად სამსახურს სთავაზობს „პროფესიონალ ძილისგუდებს“. მსურველებმა კომპანიის წარმოებულ პროდუქციაზე უნდა დაიძინონ და ძილის ხარისხსა და მიღებულ შთაბეჭდილებებზე სოციალური ქსელის მომხმარებლებს უნდა მოუთხრონ. ვაკანტური ადგილის დაკავება ნებისმიერ ზრდასრულ მსურველს შეუძლია, რომელიც შესაბამის აპლიკაციას შეავსებს და კომპანიას თვის ბოლომდე გაუგზავნის. Casper-ი მატრასების საკმაოდ პოპულარული კომპანიაა, რომელიც 2014 წელს შეიქმნა.

ძაღლს ძილი არ დაუფრთხეს

როგორც აღმოჩნდა, არგენტინაში ძაღლის ძილი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფეხბურთის მატჩი. საქმე ისაა, რომ ქვეყნის პრემიერ-ლიგის საფეხბურთო შეხვედრა ცოტა ხნით იმიტომ გადაიდო, რომ ძაღლს მშვიდად ეძინა სტადიონის გაზონზე. მოთამაშეებს შეხვედრის შეწყვეტა და ლოდინი მოუწიათ, ვიდრე ოთხფეხა მეგობარი გაიღვიძებდა. მატჩი მხოლოდ მაშინ განახლდა, როდესაც ძაღლმა გაიღვიძა.

თვითაღმდგენი საღებავი მანქანებისთვის

სწავლულებმა სამხრეთ კორეადან, პოლიმერული საფარი შექმნეს, რომელიც სწრაფად და მრავალჯერადად აღდგება ინფრაწითელი გამოსხივების შედეგად. ის გამოსადეგია მანქანების შესაღებად – ამ საღებავით ნაკაწრები ნახევარ საათში გაქრება მზეზე. ახალი საღებავის საფუძველი აკრილის მრავალატომური სპირტია, რომლის მოლეკულებსაც შეუძლია, არაერთხელ გაიხლიჩოს და მაღალი ტემპერატურის ქვეშ კვლავ შეერთდეს. ამაზე პასუხისმგებელი ორგანული ფოტოთერმული საღებავია – ის იჭერს ინფრაწითელ გამოსხივებას და სითბოს გამოჰყოფს. აღსანიშნავია, რომ თვითაღდგენის პროცესის დაჩქარებაც შეიძლება. მაგალითად, გამადიდებელი შუშით გამოსხივების თავმოყრა. ამ შემთხვევაში, ნაკაწრები სულ რაღაც 30 წამში გაქრება. ეს ახალი საფარი ანალოგებთან შედარებით, გაცილებით პრაქტიკული და ხარისხიანია. მისი დატანა ჩვეულებრივი საღებავის ზემოდან შეიძლება. მისი გამოყენება შესაძლებელია სმარტფონებისა და სხვა მოწყობილობებისთვის, რომლებიც ხშირად ზიანდებიან.

ყველაზე მოკლე დღე დაფიქსირდა

ატომური საათის გამოგონების შემდეგ, სპეციალისტებმა დედამიწაზე ყველაზე მოკლე დღე დააფიქსირეს. CNN-ის ცნობით, 29 ივნისს, ჩვენმა პლანეტამ თავისი ღერძის გარშემო, ჩვეული 24 საათის ნაცვლად, 1.59 მილიწამით სწრაფად იმოგზაურა. ამ მონაცემებს დედამიწის როტაციის საერთაშორისო სამსახურიც ადასტურებს. მკვლევარები ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ ჩვენს პლანეტას იდეალური სფეროს ფორმა არ აქვს და მისი ბრუნვის დინამიკა სტაბილური არ არის. აღსანიშნავია, რომ წინა რეკორდი 2020 წლის 19 ივლისს დაფიქსირდა – მაშინ პლანეტის როტაცია ჩვეულ დროზე 1.47 მილიწამით ნაკლები იყო. ატომური საათი დროის აზომვის სტანდარტული ერთეულია, რომელიც გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან გამოიყენება. სპეციალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ დედამიწაზე უფრო მოკლე დღეებიც ყოფილა – კვლევების მიხედვით, დაახლოებით, 70 მილიონი წლის წინ, როცა პლანეტაზე დინოზავრები ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ, დედამიწა საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნვას 23.5 საათი ანდომებდა.

ჭკვიანი ტატუ დაავადებებს აღმოაჩენს

სამხრეთკორეელმა სწავლულებმა ჭკვიანი ტატუ შექმნეს, რომელიც ადამიანის სასიცოცხლო მაჩვენებლების შესახებ შეაგროვებს მონაცემებს. სპეციალისტებმა ელექტრონული მელანი შეიმუშავეს, რომელიც თხევადი მეტალისა და ნახშირბადის ნანომილებისგან შედგება და ფუნქციონირებს, როგორც ბიოელექტროდი. ეს ინოვაციური მოწყობილობა შეიძლება მიუერთდეს აპარატს ელექტროკარდიოგრამის გადასაღებად ან სხვა ბიოსენსორს. ტატუს შეუძლია გადასცეს მონაცემები გულის კუმშვის სიხშირეზე და სხვა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მაჩვენებლებზე. მათზე დაყრდნობით, მედიკოსებს შეუძლიათ წინასწარ დაადგინონ, რა დაავადება შეიძლება განვითარდეს. სწავლულები ამჟამად ტატუს დახვეწაზე მუშაობენ.

თუთიყუშმა პატრონის ბრილიანტები გადაყლაპა

ინციდენტი ტაილანდში მოხდა. თუთიყუში „ფროსტის“ პატრონმა აღმოაჩინა, რომ მის ძვირადღირებულ ყელსაბამს 21 ბრილიანტი აკლდა. ძვირფასი ქვები იქიდან ქალბატონის საყვარელმა ფრინველმა ამოკენკა და გადაყლაპა. თუთიყუში პატრონის ზარდახშაში ჩაძვრა და ყელსაბამი „გაძარცვა“. ცოტა ხნის შემდეგ, ფროსტი დასუსტდა და საკვებზეც უარს ამბიბდა. მზრუნველმა პატრონმა ის ვეტერინართან წაიყვანა, სადაც მას რენტგენი გადაუღეს. ქალის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სურათზე მძივების მსგავსი ობიექტები აღმოაჩინეს. ფრინველს სასაწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა, მისი კუჭიდან ბრილიანტები ამოიღეს და პატრონს დაუბრუნეს. „ქურდ“ თუთიყუშს კი ვეტკლინიკაში ერთი კვირით დარჩენა მოუწევს, ვიდრე ჭრილობა არ შეუხორცდება.

მოწყალების მთხოვნელმა მილიონი მოიგო

ესპანეთში, ქალაქ ალიკანტეში მცხოვრებმა ქალმა, რომელიც ყოელდღიურად ქუჩაში მოწყალებას ითხოვდა, ლატარიაში 1.2 მილიონი ევრო მოიგო. ბედნიერი ბილეთი მან გამვლელებისგან გაღებული ფულით იყიდა. თამბაქოს მაღაზიის მეპატრონე, სადაც მერსედესმა ბილეთი შეიძინა, ამბობს, რომ ქალს ფინანსურად ძალიან უჭირდა. ყოველდღიურად, ის 5-6 საათის განმავლობაში იდგა ბანკის გვერდით და მოწყალებას ითხოვდა. მერე კი, მოგროვილი თანხით ლატარიის ბილეთებს ყიდულობდა იმ იმედით, რომ საკუთარ პრობლემებს მოაგვარებდა და ვალებს გაისტუმრებდა. ამ შემართებით, 4 წლის განმავლობაში, ის თითქმის ყოველდღიურად ყიდულობდა ლატარეა Bonoloto-ს ერთევროიან ბილეთს.

საკუთარ დაკრძალვაზე მოილხინა

კანადელმა მამაკაცმა ქალაქ ექსტრერიდან, საკუთარ დაკრძალვაზე მოილხინა და მოკვდა. ამ უჩვეულო ისტორიას პორტალი The London Free Press აქვეყნებს. ექიმებმა 67 წლის რონ რეიდერს კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. ოპერაციის გაკეთება უკვე დაგვიანებული იყო და მას პალიატიური მკურნალობა დაუნიშნეს. მომაკვდავმა კანადელმა შვილებს განუცხადა, რომ სურდა, საკუთარი დაკრძალვის ცერემონიას დასწრებოდა. „თუკი სიკვდილი გარდაუვალია და ხალხი მოვა, მინდა, მეც იქ ვიყო“, – განაცხადა რონმა. მან დამკრძალავი ბიუროს დირექტორს დაურეკა და სთხოვა საკუთარი გასვენების ორგანიზება, რომელსაც თავადაც, ჯერ კიდევ ცოცხალი დაესწრებოდა. „140-წლიანი მუშაობის განმავლობაში, ეს პირველი უცნაური შეკვეთაა“, – აღნიშნა ბიუროს დირექტორმა. წინასწარ მოწყობილ დაკრძალვას, „მიცვალებულის“ გარდა, კიდევ 350 ადამიანი ესწრებოდა – რონის მეგობრები, ახლობლები, უბრალოდ ნაცნობები და ჰოკეის იმ გუნდის წევრებიც კი, სადაც კანადელი დიდი ხნის წინ თამაშობდა. "ეს დაუვიწყარი, საუკეთესო დღე იყო“, – განაცხადა რონის მეუღლემ. "გასვენებიდან" 9 დღის შემდეგ, რონ რეიდერი ოჯახის წევრების გარემოცვაში გარდაიცვალა.

ფეხის სუნს წინდები გააქრობს

ტაილანდელმა სწავლულებმა სპეციალური საფარი შეიმუშავეს წინდებისთვის, რომელიც ადამიანს ფეხის სუნისა და ტერფის ინფექციისგან დაიცავს. გამოგონება უკვე დატესტეს ერთ-ერთი კლინიკის პაციენტებსა და სამხედროებზე. საფარი შედგება თუთიის ოქსიდის ნანონაწილაკებისგან. ეს ნაერთი ანტიბაქტერიული თვისებებისაა და ფეხის სუნს ბლოკავს. ის ტაილანდის სამხედრო-საზღვაო სკოლის კურსანტებზე გამოსცადეს, რადგან ცნობილია, რომ ფეხის ინფექცია სამხედროებში გაცილებით ხშირია, ვიდრე სხვა ადამიანებში. ტესტირებისას დადასტურდა საფარის ანტიბაქტერიული ეფექტი. ახლა მკვლევარები აპირებენ შეამოწმონ, როგორ მუშაობს ეს მეთოდი რეალურ პირობებში.

ბეტონს ცემენტის გარეშე ამზადებენ

დღესდღეობით, ბეტონი ყველაზე პოპულარული სამშენებლო მასალაა მსოფლიოში. ის ქვიშისა და მისი შემაკავებლი ცემენტისგან შედგება. ამ უკანასკნელის წარმოება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემოს – ცემენტის ქარხნებზე მსოფლიო გამონაბოლქვის 8% მოდის. იაპონელმა სწავლულებმა ტოკიოს უნივერსიტიტედან, ბეტონის წარმოების ახალი მეთოდი შეიმუშავეს, რომელსაც ცემენტი არ სჭირდება. ქვიშის ნაწილაკები ერთმანეთს ეწებება რეაქციის შედეგად, რომლისთვისაც ეთილის სპირტსა და კატალიზატორს იყენებენ. მკვლევარებმა ექსპერიმენტი კვარცის ქვიშის, ეთანოლის, კალიუმის ჰიდროქსიდისა და 2.2-დიმეტოქსიპროპანის გაცხელებით სცადეს. შედეგად, მკვრივი მასალა მიიღეს. სიმტკიცით ის ჯერჯერობით არ ჩამოუვარდება ქვიშისა და ცემენტის ბეტონს, თუმცა იაპონელი სპეციალისტები ტექნოლოგიის დახვეწაზე აგრძელებენ მუშაობას. მათი თქმით, ახალი ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, მიიღონ სამშენებლო მასალა, რომელიც უფრო მდგრადი იქნება მაღალი ტენიანობის, ტემპერატურის ცვლილებისა და ქიმიკატების ზემოქმედებისადმი.

სახლებს გაყინული ყვავილებით აგრილებენ

ამომავალი მზის ქვეყანაში, ანომალიური სიცხის ფონზე, ადგილობრივებმა გაგრილების ორიგინალური მეთოდი მოიფიქრეს. შენობაში ტემპერატურის დაწევისა და სახლის გალამაზების მიზნით, ტოკიოს ერთ-ერთი კომპანიის სპეციალისტები ცოცხალ ყვავილებს ყინავენ წყლიან ჭურჭელში, შემდეგ ამ ყინულის მასას ნაწილებად ჭრიან. ასე იღებენ ჰაერის ერთგვარ გამაგრილებელს, თანაც დამატებითი ფუნქციით: თაიგულის დნობის შედეგად, ოთახში სასიამოვნო არომატი ვრცელდება.

ყავა კოვიდით დაინფიცირებას ხელს უშლის

ყოელდღიურად, ერთი ფინჯანი ყავის სასარგებლოდ არგუმენტები ამერიკელმა სწავლულებმა გაახმოვანეს, ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტიდან. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ამ გამამხნევებელი სასმელის დღიური ერთი ჭიქაც კი, ამცირებს კორონავირუსით დაინფიცირების ალბათობას. კერძოდ, სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ადამიანები, რომლებიც დღის განმავლობაში, ერთ ან მეტ ფინჯან ყავას მიირთმევენ, 10%-ით ნაკლებად ინიციფირდებიან ვირუსით, ვიდრე ისინი, რომლებიც საერთოდ არ სვამენ ყავას. სპეციალისტები ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ ყავის მოხმარება ისეთ ბიომარკერებს უკავშირდება, როგორიცაა CRP (C-რეაქტიული ცილა), ინტერლეიკენ-6 და სხვა, რომელთაც დაავადების მძიმე მიმდინარეობის გამოწვევა შეუძლიათ. გარდა ამისა, სწავლულებმა კვლევებისას ისიც შენიშნეს, რომ ასაკოვან ადამიანებს, რომლებიც ყავას მიირთმევენ, პნევმონიის განვითარების ნაკლები რისკი აქვთ.

პირველი ფაბრიკა ხელოვნური ხორცისთვის

ისრაელში, კომპანია Future Meat Technologies-მა, ხელოვნური ხორცის წარმოებისთვის, მსოფლიოში პირველი ფაბრიკა გახსნა. ამ დაწესებულებაში, ყოველდღიურად, 500 კილოგრამ კულტივირებულ ქათმის, ღორისა და ცხვრის ხორცს აწარმოებენ. ხორცის ეს რაოდენობა საკმარისია 5 ათასი ჰამბურგერის დასამზადებლად. ებრაული კომპანია ხელოვნურ ხორცს სპეციალურ ბიორეაქტორებში შექმნილი უჯრედებისგან ამზადებს. საამისოდ კი იმ ნივთიერებებს იყენებენ, რითაც ცხოველებს კვებავენ. კომპანიის ტექნოლოგებმა პროდუქტის დამზადების ისეთი პროცესი შეიმუშავეს, რომელიც 80%-ით ამცირებს გარემოში ნახშირორჟანგისა და 96%-ით – წყლის გამოყოფას.

ომეგა-3 ბავშვის ინტელექტს არ აუმჯობესებს

მიუხედავად იმისა, რომ მედიკოსები ფეხმძიმეებს ურჩევენ, მიიღონ ომეგა-3-ცხიმმჟავები ნაყოფის ტვინის განვითარების გასაუმჯობესებლად, ბოლო გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ ასეთი დანამატები სულაც არ აუმჯობესებს ბავშვების კოგნიტიურ და ლოგიკურ უნარებს. გამოკვლევის შედეგები ერთ-ერთი გამოცემის სპეციალურ გამოშვებაში გამოქვეყნდა, რომელიც პატარების ჯანმრთელობას მიეძღვნა. ავსტრალიელმა სწავლულებმა ხანგრძლივი დაკვირვება ჩაატარეს, რომლის დროსაც, ყოველდღიურად, ორსულები 800 მგ პლაცებოს ან ომეგა-3-ს იღებდნენ. პირველადი კვლევებისას აღმოჩნდა, რომ 18 თვემდე ბავშვების კოგნიტიური, ენობრივი და მოტორიკის უნარების საერთოდ არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. შემდეგი კვლევისთვის ოთხი წლის ასაკის პატარები აირჩიეს, როცა განვითარების ნაკლებშესამჩნევი ეფექტებიც ვლინდება. აღმოჩნდა, რომ კოგნიტიური უნარების, ინფორმაციის რთული ფსიქოლოგიური დამუშავების უნარის, ენობრივი, მეხსიერების, ლოგიკის უნარების შემოწმებისას, არსებითი განსხვავება არ გამოვლინდა პლაცებოსა და ომეგა-3-ის მიმღებ ჯგუფებს შორის. ამგვარად, მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ომეგა-3-ის დანამატების მიღება არ ახდენს გავლენას ბავშვის გონებრივ განვითარებაზე.

მზისგან დამცავი დასალევი კრემი შექმნეს

მზისგან დამცავი ტრადიცული კრემების ეპოქა, შესაძლოა, დასრულდეს, რადგან ცოტა ხნის წინ, ბაზარზე გასაყიდად გამოვიდა გასარუჯი ლოსიონი, რომელიც უნდა დალიოთ და არა კანზე შეიზილოთ. ერთხელ გამოყენების შემთხვევაში, ლოსიონი ულტრაიისფერი სხივებისგან სამსაათიან დაცვას უზრუნველყოფს. ცნობილია, რომ მზისგან დამცავი კრემები საიმედოდ იცავენ ადამიანს დამწვრობისა და კანის კიბოს წარმოშობისგან, თუმცა გარკვეული უხერხულობის გამო, ზოგიერთი საერთოდ არ იყენებს მას. ასეთი კრემები სულ უნდა ისვათ კანზე და ყოველი ბანაობის შემდეგაც, ამ პროცედურის განმეორებაა საჭირო, რადგან მას წყალი უბრალოდ ჩამორეცხავს. ზოგი გამუდმებით დაატარებს პლაჟზე ამ კრემებს, ზოგსაც ხშირად ავიწყდება მისი წაღება. ამერიკულმა კომპანიამ Osmosis Skincare, მზისგან დამცავი პირველი კრემი გამოუშვა, რომელიც დასალევია და არა წასასმელი. Harmonised Harmonised H20 UV-ის შემქმნელები გვარწმუნებენ, რომ მათი ლოსიონი საშუალებას იძლევა, მზის აბაზანები დიდი ხნის განმავლობაში მიიღოთ და თან არ დაიწვათ. როგორც კი ეს პროდუქტი ორგანიზმში ხვდება, მისი თხევადი მოლეკულები კანში აღწევენ და 97%-მდე მავნე ულტრაიისფერ სხივებს ბლოკავენ. გასაყიდად გამოტანილია კრემის ორი სახეობა – გარუჯვისთვის და მის გარეშე. მწარმოებლები მიუთითებენ, რომ მზეზე ყოფნისას, ყოველ 4 საათში, 2 მლ ლოსიონი უნდა მიიღოთ.

გონებრივი ჩამოჩენილობა განკურნეს?

მასაჩუსეტსის ტექნილოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა, მსოფლიოში პირველებმა, გონებრივი ჩამორჩენილობის განკურნება მოახერხეს, რომელიც გავრცელებული გენეტიკური დაავადებით იყო გამოწვეული. გენური თერაპიის მეშვეობით, მკვლევარებმა მარტინ-ბელის სინდრომით დაავადებულ თაგვებში ტვინის უჯრედების აღდგენა და ასევე მათი ქცევის ნორმალიზება შეძლეს. მარტინ-ბელის სინდრომი – ეს მემკვიდრეობითი დაავადებაა, რომელიც X-ქრომოსომაში FMR1 გენის მუტაციითაა გამოწვეული. დაავადება ბავშვებში გონებრივ ჩამორჩენილობასა და მეტყველების შეზღუდვას, ყურადღების კონცენტრაციის დარღვევას, ხასიათის ცვალებადობას, აუტიზმის სინდრომებს იწვევს. ავადმყოფებს დამახასიათებელი გარეგნობაც აქვთ: უჩვეულოდ მაღალი შუბლი, სახის არაპროპორციული ნაკვთები, ყურის გადიდებული ნიჟარები. მარტინ-ბელის სინდრომი 4000 ბიჭიდან – ერთს, გოგონებში კი 6000-დან ერთს უვითარდება. ამ სინდრომისას ზიანდება დენდრიტები – ნერვული უჯრედების წანაზარდები, რომლებიც სინაპსების (ნაერთები ნერვულ უჯრედებს შორის) ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ. დაავადებისას იზრდება დენდრიტების რაოდენობა, ხდება მათი დაგრძელება და დაწვრილება, რასაც თავის ტვინის ნეირონებს შორის ელექტრული სიგნალის გადაცემის დარღვევამდე მივყავართ.

ექსპერიმენტის მიმდინარეობისას, ჯანმრთელ მღრღნელებში ერთი საინტერესო მოვლენა შენიშნეს – აღმოჩნდა, რომ თავის ტვინში ფერმენტის ბლოკადას, სახელწოდებით – PAK, სრულიად საპირისპირო ეფექტამდე მივყავართ, რაც მარტინ-ბელის სინდრომისას შეინიშნება: მცირდება დენდრიტების რაოდენობა, ხდება მათი დამოკლება და გასქელება. მეცნიერებმა თაგვების ისეთი ხაზი გამოიყვანეს, რომელთაც ერთდროულად სინდრომის გენიც ჰქონდათ და PAK-ის გენის დეფექტური ვარიანტიც. ამ უკანასკნელმა ფერმენტის სინთეზის დარღვევა გამოიწვია, რომელიც თაგვების დაბადებიდან ერთი თვის შემდეგ გამოვლინდა. საცდელ თაგვებს აღენიშნებოდათ მარტინ-ბელის სინდრომის ნიშნები: ჰიპერაქტიურობა, უაზრო და განმეორებადი მოძრაობები. ერთი თვის შემდეგ ანუ იმ პერიოდში, როცა ფერმენტის ბლოკირება ხდებოდა, სინდრომის ყველა სიმპტომი ან გაქრა, ან მნიშვნელოვნად შემცირდა. გამოკვლევებისას კი ცხოველებს ნერვული უჯრედების დენდრიტების ნორმალური რაოდენობა აღმოაჩნდათ. სწავლულები მიიჩნევენ, რომ მარტინ-ბელის სინდრომით დაავადებული ბავშვების მკურნალობისთვის სულაც არ არის საჭირო გენეტიკური თერაპია. სამკურნალო პრეპარატის შექმნა შეიძლება ერთ-ერთი ცნობილი ნაერთის საფუძველზე, რომელიც PAK-ის ფერმენტის მოქმედების ბლოკირებას ახდენს.

უმოძრაობა ტვინის სტრუქტურას ცვლის

ქრონიკული დაავადებები ცხოვრების მჯდომარე წესის შედეგია. ნეირობიოლოგები ამტკიცებენ, რომ ფიზიკური აქტიურობის არარსებობამ, შესაძლოა, ნერვული უჯრედების ფორმები შეცვალოს. ახალმა კვლევებმა აჩვენა, რომ სამი თვის განმავლობაში, ნაკლებმოძრავი ცხოვრების წესი ფიზიკური დატვირთვის გარეშე, შეიძლება, ტვინის უჯრედების წანაზარდების ფორმის შეცვლის მიზეზი გახდეს. ასეთი ცვლილებები იწვევენ არასწორი სიგნალების გადაცემას. მღრღნელებზე ჩატარებული ექსპერიმენტისას, ცხოველების ერთ ჯგუფს შეეძლო გადაადგილება, მეორე კი უმოძრაოდ რჩებოდა. სამი თვის შემდეგ, სწავლულებმა თაგვების თავის ტვინის სტრუქტურა გააანალიზეს. აღმოჩნდა, რომ ცხოველების უჯრედებს წანაზარდები გაუჩნდა, რის გამოც, ნერვული უჯრედები ადვილად აღგზნებადი გახდა. საბოლოოდ, ნერვული უჯრედები ტვინს არასწორ სიგნალებს უგზავნიან, ინფორმაციის დამუშავების პროცესი კი ირღვევა. ასევე, ნეირონები უგზავნიან სიგნალებს ნერვულ სისტემასა და გულს, რაც არტერიული წნევის ზრდის მიზეზი ხდება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.